# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 8 მაისი. 2024 წ. №54 (9734) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი


# ახალგაზრდებო, უსინდისოდ გატყუებენ!

4



## „საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი“!

# რა აწუხებთ აფხაზეთში?

2

## ბაქო–თბილისი–ყარსის რკინიგზა 20 მაისს გაიხსნება

**აზერბაიჯანის,** საქართველოსა და თურქეთის დამაკავშირებელი სარკინიგზო მაგისტრალი – ბაქო-თბილისი-ყარსი რეკონსტრუქციის შემდეგ დაახლოებით, ორ კვირაში გაიხსნება. აზერბაიჯანის რკინიგზის ხელმძღვანელის როვშან რუსტამოვის თქმით, სარკინიგზო ხაზი სრული დატვირთვით 20 მაისიდან ამოქმედდება.

შეგახსენებთ, რომ ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა ექსპლუატაციაში 2017 წლის 30 ოქტომბერს შევიდა. პროექტის ფარგლებში 98 კმ სიგრძის ყარსი-ახალქალაქის რკინიგზა აშენდა, საიდანაც 68 კმ თურქეთის, 30 კმ კი საქართველოს ტერიტორიაზე გადის. ამასთან, პროექტის ფარგლებში ახალქალაქი-თბილისის 183-კილომეტრიანი მონაკვეთის რეკონსტრუქცია განხორციელდა. მაგისტრალის ქართულ ნაწილზე სამუშაოები აზერბაიჯანმა დააფინანსა, რომელმაც 775 მლნ დოლარის ოდენობით საქართველოს ორი შეღავათიანი სესხი მისცა.



გასული წლის გაზაფხულზე მოდერნიზაციის გამო აღნიშნული რკინიგზის მაგისტრალზემოძრაობა შეწყდა. მოდერნიზაციის შემდეგ ტვირთების გადაზიდვის მოცულობის ხუთჯერ ზრდაა მოსალოდნელი. ამასთან, ვარაუდობენ, რომ პირველ ეტაპზე ტვირთბრუნვა წელიწადში 6,5 მილიონ ტონას, მგზავრთა მოცულობა კი მილიონამდე ადამიანს მიაღწევს.

## ზელენსკის მკვლელობა აღკვეთეს!



**უკრაინის** უსაფრთხოების სამსახურში განაცხადეს, რომ ქვეყნის პრეზიდენტის ვოლოდიმირ ზელენსკის და ქვეყნის სხვა ხელმძღვანელების მკვლელობის გეგმა გახსნეს. ამის შესახებ **BBC** წერს.

გამოცემის ინფორმაციით, უკრაინული მხარე თავდასხმის მომზადებაში რუსეთის ხელისუფლებას ადანაშაულებს. უსაფრთხოების სამსახურის განმარტებით, ზელენსკისთან ერთად უკრაინის თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელის კირილ ბუდანოვისა და უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელის ივან მალიუკის მკვლელობა იგეგმებოდა.

ოპერაციის ფარგლებში დაკავებულია უკრაინის სახელმწიფო დაცვის სამმართველოს ორი პოლკოვნიკი, რომლებიც პრეზიდენტის უსაფრთხოებაზე აგებდნენ პასუხს.

### ·წვართა სულისა·



## მიუხედავად დაპირისპირებისა, ჩვენ უნდა გვაერთიანებდეს სამშობლოს სიყვარული...

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, ილია მეორის სააღდგომო ეპისტოლე.

საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის წევრთ, მკვიდრთ ივერიისა და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებ თანამემამულეთ:

„თქვა იესომ: **მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე, ვინც მე მიწამებს, თუნდაც რომ მოკვდეს, იცოცხლებს**“ (ინ.11.25).

აღსრულდა უფლის განკაცების დიადი საიდუმლოს მთავარი მიზანი, – ქრისტე აღდგა!

ენით გამოუთქმელი და მიუწვდომელი ეს სასწაული თითოეული ადამიანის გულამდე აღწევს და საყოველთაო სიხარულით აღვსილნი ვხმობთ:

ქრისტე აღდგა!

ჭეშმარიტად აღდგა!

იხ. 3 გვ.

## უწმინდესო!

*დაკვირვალე, დაკვირვალე, უფალო!..*

7

## „მე ლამაზი მეგობარი მყავდა“...



# ევრო—პარლამენტარების მიმართვა ბორელს

## შეჩერდეს კანდიდატის სტატუსი და ევროკავშირის მიერ საქართველოს დაფინანსება!



**30-მა** ევროპარლამენტარმა გუშინ ჟოზეფ ბორელს საგანგებო განცხადებით მიმართა:

,,საქართველოს ხელისუფლების მუდმივმა არადემოკრატიულმა ქცევამ, განსაკუთრებით მათ მიერ უცხოური აგენტების შესახებ რუსული სტილის კანონის გატანის აგრესიული მცდელობისა და მშვიდობიანი დემონსტრანტების მიმართ ძალის გამოყენებამ გადალახა ზღვარი. ამგვარმა საქციელმა კიდევ უფრო გაზარდა დაძაბულობა და პოლარიზაცია ქართულ პოლიტიკასა და საზოგადოებაში, რაც ეწინააღმდეგება იმ ცხრა ნაბიჯს, რომელთა გადადგმაზეც საქართველოს მთავრობამ პასუხისმგებლობა აიღო, როდესაც ქვეყანას მიენიჭა ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი.

მოგიწოდებთ, გამოიჩინოთ მტკიცე პოზიცია და შემდეგი ზომები, რაც მკაფიო სიგნალს გაუგზავნის საქართველოს ხელისუფლებას.

პირველი, საქართველოს ხელისუფლებისა და წამყვანი პარტიის „ქართული ოცნების" ქცევა ეწინააღმდეგება ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის ვალდებულებებს, ამიტომ, საქართველოს კანდიდატის სტატუსი უნდა შეჩერდეს გაწევრების პროცესში შემდგომი პროგრესის გარეშე.

მეორე, უნდა გადაიხედოს ევროკავშირის მიერ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და სამთავრობო პროგრამების დაფინანსება.

მესამე, საქართველოს პროგრესის შუალედური შეფასება 2023 წლის 8 ნოემბრის კომისიის რეკომენდაციაში მოცემული ცხრა ნაბიჯის განხორციელების შესახებ უნდა განხორციელდეს შეფერხების გარეშე. ეს ღონისძიება შეტანილია პარლამენტის 2024 წლის 25 აპრილის რეზოლუციაში საქართველოში უცხოელი აგენტების კანონის ხელახალი შემოღების მცდელობისა და სამოქალაქო საზოგადოების შეზღუდვების შესახებ.

ბოლო წლებში ჩვენ დაუღალავად ვმუშაობდით ქართველი ხალხისა და მისი ევროკავშირში გაწევრების მისწრაფებების მხარდასაჭერად. ჩვენ ახლაც მტკიცედ მივყვებით ამ გზას, მაგრამ დემოკრატიული კრიტერიუმები ევროკავშირის ყველა კანდიდატი ქვეყნისთვის არის იგივე და ისინი დაცული უნდა იყოს".

# უსმენენ თუ არა რამდენიმე პარლამენტარის მიმართვას?

**ევროკომისიის** პრესსპიკერმა და ევროკავშირის საგარეო პოლიტიკური უწყების წარმომადგენელმა პიტერ სტანომ პრესკონფერენციაზე ისაუბრა იმის შესახებ, თუ როგორ იღებენ ევროკავშირში ახალ წევრს და მიღებისას რას ითვალისწინებენ. სტანოს ერთ-ერთმა ჟურნალისტმა კითხვა დაუსვა ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელ ჟოზეფ ბორელისადმი 31 ევროპარლამენტარის მიმართვასთან დაკავშირებით, შეუჩერდეს საქართველოს კანდიდატის სტატუსი. ევროკომისიის პრესსპიკერმა კითხვის დამსმელ ჟურნალისტს უპასუხა: „პირველ ყოვლისა, როგორც წესი, ჩვენ არ ვაკეთებთ კომენტარს სხვა პარტნიორების წერილებზე. რაც შეეხება პროცედურებს, ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც ევროკავშირში გაწევრების პროცესს უკავშირდება, მიიღება ევროკავშირის წევრების მიერ ერთსულოვნად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როდესაც საქმე ეხება ინდივიდუალური ქვეყნების ევროკავშირში გაწევრების გზას, ნებისმიერი შემდგომი ნაბიჯის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ ერთსულოვნად. ეს არის ის, რაც ხდება ევროკომისიის რეკომენდაციის საფუძველზე. შემდეგ დისკუსიების საფუძველზე და იმ გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელსაც ერთსულოვნად იღებენ წევრი სახელმწიფოები".

# FARA-ს რეესტრში შეყვანილია გიული ალასანია და კეზერაშვილი

## ისინი 12 წელია, აღარ არიან „მთავრობის სახელით მოქმედი პირები" – სწორედ ამგვარ სიმართლეს აცდენილი ინფორმაცია ახალისებს რადიკალურ ჯგუფებს!..



**საქართველოს** პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი სოციალურ ქსელში აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის სპიკერის მეთიუ მილერის განცხადებას ეხმიანება, რომ თითქოს „FARA" ეხება იმ ადამიანებს, რომლებიც უცხოური მთავრობების სახელით მოქმედებენ და არა მათ, ვინც ლეგიტიმურ არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას ახორციელებენ".

როგორც შალვა პაპუაშვილი აღნიშნავს, FARA-ს რეესტრში შეყვანილია გიული ალასანია და დავით კეზერაშვილის ტელევიზია „ფორმულა", რომლებიც უკვე 12 წელია აღარ არიან საქართველოს „მთავრობის სახელით მოქმედი პირები".

მისი განცხადებით, სწორედ ამგვარი ზედაპირულობა და სიმართლეს აცდენილი ინფორმაცია ახალისებს რადიკალურ ჯგუფებს საქართველოში.

„გვახსოვდეს, რომ გამჭვირვალების ქართული კანონი ამერიკულთან ახლოსაც ვერ მივა რეგულაციების სიმკაცრით - არ ეხება ფიზიკურ პირებს, არ ითვალისწინებს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას და ა.შ.," – წერს შალვა პაპუაშვილი.

# მეთიუ მილერი: „ფარა" ეხება ადამიანებს, რომლებიც უცხოური მთავრობების სახელით მოქმედებენ!



**ჟურნალისტის** კითხვაზე, რატომ შეუძლია, აშშ-ს, ჰქონდეს კანონი უცხოური აგენტების შესახებ (FARA) და რატომ არ შეუძლია, ეს კანონი ჰქონდეს საქართველოს, მილერმა აღნიშნა, რომ განსხვავება კანონების შინაარსშია.

„განსხვავება არის ამ კანონების შინაარსში. როდესაც თქვენ ამერიკული უცხოური აგენტების რეგისტრაციის აქტს შეხედავთ, თქვენ ნახავთ, რომ ეს ეხება იმ ადამიანებს, რომლებიც უცხოური მთავრობების სახელით მოქმედებენ და არა მათ, ვინც ლეგიტიმური არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას ახორციელებენ, ან მათ, ვინც ჰუმანიტარულ სამუშაოსა და სამოქალაქო საქმიანობას ასრულებენ. ეს ძალიან განსხვავებული რამ არის. მსგავსი ცრუ შედარებები წარსულში მინახავს. როდესაც შეხედავთ საქართველოში წარდგენილ ტექსტს და ტექსტებს, რომლებიც სხვა ქვეყნებში კრემლის გავლენით არის მიღებული, ისინი მკვეთრად განსხვავდებიან იმ კანონისგან, რომელიც ჩვენ აქ, აშშ-ში გვაქვს", – აღნიშნა მილერმა.

ინალ ხაშიგი



# რა აწუხებთ ოკუპირებულ აფხაზეთში?

**საქართველოს** პარლამენტის მიერ განმეორებით ინიცირებულმა კანონმა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" ვნებათაღელვა გამოიწვია არამარტო ოპოზიციურ პარტიებში და მათში, ვისაც ეს კანონი უშუალოდ ეხება, არამედ ევროპაშიც და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზეც. საუბარია აფხაზეთზე, სადაც ასევე დააანონსეს იმავე სახის კანონის მიღება, რომელსაც თბილისში რუსული უწოდეს. საინტერესო მოსაზრებებს გამოთქვამენ აფხაზეთში მოღვაწე ჟურნალისტები. ერთ-ერთი მათგანია ინალ ხაშიგი. რადიო თავისუფლებასთან საუბრისას ის ამბობს, რომ არაფერია გამორიცხული, თუკი საქართველო მიიღებს აღნიშნულ კანონს. რატომ გადადგა საქართველოს მმართველმა პარტიამ ეს ნაბიჯი, ხომ წინასწარვე ცნობილი იყო, რაც მოჰყვებოდა კანონის გაცოცხლებას - ინტერესდებიან აფხაზი პოლიტიკოსები, ბლოგერები და ჟურნალისტები. ინალ ხაშიგს მიაჩნია, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება ყველაზე საუკეთესო, ყველაზე დემოკრატიულია ყოფილ ხელისუფლებებთან შედარებით და, ქართველებმა რაც არ უნდა აკრიტიკონ მთავრობა, ამგვარი პრაგმატული ხელისუფლება რთულად მოსაძებნია. დასავლეთსა და რუსეთს შორის გაჩხერილ საქართველოში, რომელთაგან ორივეს მისი ხელში ჩაგდება უნდა – „ქართული ოცნება" ოსტატურად მანევრირებს, უმკლავდება გამოწვევებს.

მაშ რა ხდება, რატომ უპირისპირდება ოცნება დასავლეთს, რატომ არ უწევს ანგარიშს დედაქალაქში პერმანენტულად მიმდინარე აქციებს, რატომ არ ითვალისწინებს ამერიკელ კონგრესმენთა და ევროპარლამენტართა მოწოდებებს?

აფხაზი ჟურნალისტი ეჭვობს და ვარაუდობს, რომ „ქართულ ოცნებას" ვიღაცამ, რაღაცის ფასად, მწვანე შუქი აუნთო. ყველა ეჭვი კი რუსეთთან მიდის. გავიხსენოთ ბიძინა ივანიშვილის გამონათქვამები 29 აპრილს ქართული ოცნების მოხრეთა შეკრებაზე: **„საქართველოს ბედი ქართველმა ხალხმა უნდა გადაწყვიტოს. ამ წლების განმავლობაში ჩვენ დავაგროვეთ საკმარისი რესურსი, რომ სუვერენიტეტის სრულად განმტკიცება დავიწყოთ. სწორედ ამას ემსახურება კანონიც „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ"... „გაძლევთ პირობას, რომ ყველა წინააღმდეგობას გადავლახავთ, სუვერენიტეტსაც განვიმტკიცებთ, მშვიდობასაც შევინარჩუნებთ, ქართულ ეკონომიკასაც გავაძლიერებთ და 2030 წელს გავხდებით ევროკავშირის წევრი ქვეყანა"... „თავისუფალი, დამოუკიდებელი და სუვერენული საქართველო, ევროკავშირის წევრი საქართველო, გაერთიანებული და გამთლიანებული საქართველო – ეს არის ჩვენი ქართული ოცნება, რომელსაც ყველა ერთად აუცილებლად ავიხდენთ".**

საიდან ამგვარი ოპტიმიზმი საქართველოს სუვერენიტეტისა და გამთლიანების შესახებ? ინალ ხაშიგი ვარაუდობს, რომ „ჩემი წმინდა სუბიექტური აზრით, მხოლოდ მოსკოვის დაპირება შეიძლება იყოს – რომელიც ასე დაჟინებით ავრცელებს კანონს უცხოელი აგენტების შესახებ მის მეზობელ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში – ხელი შეუწყოს **„ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. დარწმუნებული ვარ, მსგავს მოდელს ქართველების აბსოლუტური უმრავლესობა სიხარულით მიიღებს. კრემლისთვის კი, რომელიც თავის ირგვლივ ერთგვარ „უსაფრთხოების ზონას" იწყობს, საქართველოს კონფედერაციის იდეა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან, ძალიან მომგებიანი პროექტია, რომელიც მოსკოვს საშუალებას მისცემს, საქართველო საკუთარ სრულ გავლენას დაუქვემდებაროს და გახადოს ისეთ ნეიტრალურ ტერიტორიად, საიდანაც რუსეთს საფრთხე აღარ დაემუქრება".**

ხაშიგი არ გამორიცხავს, რომ ამ საკითხებზე შეიძლება კიდეც მიმდინარეობდეს საიდუმლო კონსულტაციები და მოლაპარაკებები მოსკოვსა და თბილისს შორის სანდო პირების მეშვეობით. და თუ პროცესები მართლაც ამ მიმართულებით განვითარდება, აფხაზეთიც და სამხრეთ ოსეთიც კიდევ ერთხელ დაკარგავენ დამოუკიდებლობას...

# ევროპის საბჭო და კონფლიქტი საქართველოში



**ევროპის** საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა, საქართველოს ხელისუფლების მიერ წარდგენილ გადაწყვეტილებას – „ევროპის საბჭო და კონფლიქტი საქართველოში" – მხარი ერთხმად დაუჭირა.

როგორც ევროპის საბჭოში საქართველოს ელჩმა თამარ ტალიაშვილმა განმარტა, 46-მა წევრმა ქვეყანამ დაადასტურა საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში საქართველოს სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის მტკიცე და უპირობო მხარდაჭერა. ეს კი მკაფიო გამოხმაურებაა რუსეთის მიერ საქართველოს რეგიონების – აფხაზეთისა და ცხინვალის ოკუპაციაზე.

დოკუმენტში ასევე, ხაზგასმულია ბოლო წლებში ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებები რუსეთის წინააღმდეგ, რომლითაც საქართველომ ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვება მოიპოვა.



# მიუხედავად დაპირისპირებისა, ჩვენ უნდა გვაერთიანებდეს სამშობლოს სიყვარული

პირველი გვერდიდან

**საღვთო** და ადამიანური ბუნების მქონე ძე ღვთისა და ძე კაცისა, მაცხოვარი სოფლისა და განმაახლებელი სამყაროსი, იშვა რჩეული ერის, ისრაელის, წიაღში.

ადამიანური ბუნებით იგი მოიცავდა მთელ კაცობრიობას, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ არ ჰქონდა ცოდვა ისევე, როგორც ადამს ცოდვით დაცემამდე.

მას მეორე ადამადაც სახელდებენ, რადგან არც ადამს ჰყავდა ხორციელი მამა და არც იესოს; პირველი ადამი მიწისგან შეიქმნა და შემოქმედისგან სული შთაებერა, მეორე – წმინდა ქალწულ მარიამისგან სულიწმინდით მოევლინა ქვეყანას. პირველი ადამის შეცოდებით სამოთხე დავკარგეთ და სიკვდილსა და ხრწნილებას დაედო სათავე, ხოლო მეორე ადამმა – ქრისტემ, ცოდვისა და სულიერი სიკვდილისაგან გვიხსნა, მარადიული სიცოცხლე მოგვანიჭა და სამოთხის კარი კვლავ განგვიღო.

განკაცებულმა უფალმა განაახლა ჩვენი დაცემული ბუნება და აღგვიდგინა ცოდვით შებღალული თავდაპირველი ხატება ღვთისა. ამასთან, მან გვიჩვენა მაგალითი იმისა, თუ როგორი ურთიერთობა უნდა გვქონდეს ერთმანეთთან და ღმერთთან, რათა დასაბამისეული განგებულება ყოვლადწმინდისა სამებისა ჩვენში გაცოცხლდეს და აღორძინდეს.

* * *

**სულ** რაღაც სამწელნახევრის მანძილზე იესო ქრისტემ თავისი ქადაგებებით მრავალი მიმდევარი შეიძინა, თუმცა მისი მაცხოვნებელი სწავლება ყველამ სიხარულით როდი მიიღო. ზოგი ეჭვით უყურებდა, ზოგიც გმობდა. თავად უფალი კი, განგებულების შესაბამისად, გარკვეულ ჟამამდე განერიდებოდა ხოლმე მათ და განკურნებულებს, მკვდრეთით აღდგინებულებს, აგრეთვე, ფერისცვალების სასწაულის მხილველ მოწაფეებს და თვით ბოროტ სულებსაც უკრძალავდა, გარკვეულ დრომდე მესიად საჯაროდ ეღიარებინათ; სიტყვანი და საქმენი მისნი კი მაინც თავისთავად მოწმობდა, ვინ იყო იგი.

უფალთან ურთიერთობისას ადამიანები გრძნობდნენ, რომ არამიწიერთან და, ამავე დროს, მშობლიურთან, ჰქონდათ შეხება და მუდამ არჩევანის წინაშე დგებოდნენ, – მიეტოვებინათ ძველი ცხოვრების წესი, ეზრუნათ სულიერ განწმენდაზე, როგორც ამას მაცხოვარი ქადაგებდა, თუ დარჩენილიყვნენ ცოდვაში და ძველებური ყოფა გაეგრძელებინათ.

იერუსალიმში დიდებით შესვლამდე უარყოფითად განწყობილნიც კი, მართალია, ზოგჯერ დრტვინვით, მაგრამ უფრო ხშირად ინტერესით, უსმენდნენ მაცხოვარს; თუმცა ოთხი დღის მკვდარი ლაზარეს აღდგინების შემდეგ, როცა მთელმა ერმა პატივი მიაგო მას, როგორც მესიასა და მაცხოვარს და ჩვილებმაც კი სასწაულებრივად იგალობეს მხსნელის სადიდებელი: „ოსანა მაღალთა შინა, კურთხეულ არს უფლის სახელით მომავალი მეფე ისრაელისა“ (ინ. 12.13) – , ვითარება რადიკალურად შეიცვალა; უფალი უკვე ყველას შეეხო და როგორც საერონი, ისე, განსაკუთრებით, სასულიერო დასი არჩევანის წინაშე დადგა, – ან უნდა მიეღოთ იგი მესიად, ან უარეყოთ.

დაპირისპირებულმა ძალამ მისი სიკვდილით დასჯა განიზრახა.

მოვლენები უსწრაფესად განვითარდა.

ქრისტე შეიპყრეს ხუთშაბათს, ღამით, როდესაც მოსახლეობა პასექის ზეიმისთვის ემზადებოდა. პარასკევს, გამთენიისას, გაასამართლეს, განაჩენი გამოუტანეს და იმავე დღეს ჯვარს აცვეს.

პასექის დღესასწაულთან დაკავშირებით, დამკვიდრებული ჩვეულებისამებრ, პილატეს სასამართლომდე ერთი ბრალდებულის შეწყალება იყო შესაძლებელი. მღვდელმთავრებისა და უხუცესების მიერ წაქეზებულმა ხალხმაც იესო ქრისტეს ბარაბა ამჯობინა.

იმ დროისათვის იუდეა რომის იმპერიას ექვემდებარებოდა, რის გამოც მაცხოვრის მთავარ ბრალმდებლებს, სინედრიონის წევრებს, იგი რომაელ პროკურატორთან, პილატესთან უნდა მიეყვანათ, რადგან, რომის ხელისუფლებასთან შეთანხმების გარეშე, ჩამორთმეული ჰქონდათ სიკვდილის განაჩენის გამოტანის უფლება; ამასთან, უფლის უკიდურესი შეურაცხყოფის მიზნით, მისი სიცოცხლის ხელყოფა ჯვარცმით, დასჯის ყველაზე დასაძრახი რომაული წესით, ჰქონდათ განზრახული.

გარდა პილატესი, იგი მეოთხედმთავარსაც, იუდეის მეფე ჰეროდესაც მიჰგვარეს. ასე რომ, უმოკლეს დროში მოხდა იესო ქრისტეს წარდგენა სამ მმართველ ძალასთან:

იუდეველმა მღვდელმთავარმა კაიაფამ ბრალად დასდო მოსეს რჯულის დარღვევა და ღვთის თანასწორად თავის მიჩნევა.

წარმოშობით იდუმიელმა მეფე ჰეროდემ, რომელიც არ იყო დავითის შთამომავალი და ტახტის დაკარგვის შიში მუდამ ჰქონდა, იუდეველთათვის აღთქმულ ცრუ მეფედ მიიჩნია იგი და, დამცირების მიზნით, თავის მოსასხამმოცმული საბოლოო მსჯავრისთვის პილატეს გაუგზავნა.

პროკურატორ პილატეს არ სურდა ქრისტეს დასჯა, მაგრამ მაინც ანგარიში გაუწია სინედრიონის, ჰეროდესა და მასთან წარმოდგენილი ხალხის პოზიციას და იმის შიშით, რომ არ დაეწამებინათ უძლეველი რომის კეისრის ძალაუფლების შემცილებლის დაცვა (ეუბნებოდენ, იესო თავს ამქვეყნიურ მეფედ აცხადებსო), აღარ შეეწინააღმდეგა მოთხოვნას – ჯვარს ეცვათ იგი.

**სამწუხაროდ, ვერცერთმა ხელისუფალმა ვერ შეიცნო მასში ზეციური მეუფე, სიბრძნე და ჭეშმარიტება, ნათელი და სიცოცხლე, სიყვარული და უმწვერვალესი თავმდაბლობა, რადგან მიწიერ გულისთქმებს შედგომილნი არ ესწრაფოდნენ ღვთის სამართლს და საკუთარ სიმართლეს მინდობილნი, უფლის სიმართლეს არ დაემორჩილნენ (შდრ. რომ. 10.3). „ამაონი იქმნენ თავიანთი ზრახვით, და დაბნელდა მათი უგონო გული; ბრძენკაცებად მოჰქონდათ თავი, და შლეგებად იქცნენ“ (რომ. 1.21-22), უსამართლო ბრალი დასდეს მაცხოვარს და სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს თავად სიმართლეს, სიცოცხლესა და ჭეშმარიტებას.**

ერთი შეხედვით, მიწიერმა სამართალმა გაიმარჯვა და, ადამიანური ლოგიკით, ჯვარცმის შემდეგ იესოსადმი რწმენა უნდა განელებულიყო, მაგრამ სინამდვილე საპირისპირო აღმოჩნდა.

მიუხედავად იმისა, რომ დაპირისპირება სიმართლესა და უსამართლობას, ზეციურ და მიწიერ აზროვნებას შორის დღემდე გრძელდება და ხალხის არჩევანიც მაცხოვრისა და ბარაბას მიმართ კვლავ სასწორზე დევს, სიმართლით შენიღბული სიცრუე და ბოროტება ვერ ფარავს ქრისტეს სახარების ჭეშმარიტებას და იგი, ღვთის მადლითა და ძალით, მთელს მსოფლიოში კვლავაც ვრცელდება და იქადაგება.

* * *

**მეტად** მნიშვნელოვანია ზემოთქმულის სულიერი მხარე:

როგორც ვიცით, შემოქმედი სასჯელით გვსჯიდა, როცა ხედავდა, როგორ ვეფლობოდით ცოდვაში და ვიღუპებოდით. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ წარღვნით აღხოცა კაცთა შორის გამრავლებული ბოროტება, ცეცხლით დაწვა სოდომი და გომორი, ბაბილონის გოდოლის მშენებლობით გამოვლენილი ამპარტავნებისათვის ბოროტად შეთქმული ადამიანები ენათა შერევით განაცალკევა.

ამიტომაც არის აზრი იმის შესახებაც, რომ დაცემულ ანგელოზებს ეგონათ, თუ უფალი კაცთაგან სასიკვდილოდ გაიწირებოდა, ღმერთი ადამის მოდგმას სამუდამოდ მოაკლებდა წყალობას, მისი რისხვა იქნებოდა შეუქცევადი და კაცობრიობა მთლიანად და საბოლოოდ ჯოჯოხეთის წილხვედრი გახდებოდა.

**თუმცა მოვლენები რეალურად როგორ განვითარდებოდა, არა თუ მათ, თვით ღვთის ანგელოზებმაც არ იცოდნენ.**

**ქმნილ სამყაროს არ შეეძლო წარმოედგინა, რომ ღმერთი თავის ჯვარცმას ჩვენი გამოხსნის ყველაზე დიდ მსხვერპლშეწირვად და ჩვენდამი თავისი სიყვარულის ზეიმად აქცევდა; ჩვენს უგულისხმობას საოცარი მიმტევებლობით უპასუხებდა და დასჯით სწორედ დემონთა სამყაროს დასჯიდა; მათ ძლიერებას დაამხობდა, ჯოჯოხეთის გჯეთ შემუსრავდა და სიკვდილს განაქარვებდა.**

„დაითქა სიკვდილი ძლევით! სადა არს, ჯოჯოხეთო, ძლევაი შენი, სადა არს სიკვდილო საწერტელი შენი?!“ (I კორ. 15.55).

ამიერიდან მართლმორწმუნეთათვის იმქვეყნად სატანჯველი აღარ არსებობს, რადგან ქრისტეში და ქრისტეთი ცოდვათგან განწმენდილი მათი სულები ღვთის სავანეთ იმკვიდრებენ და მეორედ მოსვლის შემდეგ, საყოველთაო აღდგომით, უხრწნელი სხეულის შემოსვითა და ცათა სასუფეველში დამკვიდრებით იხარებენ.

მთელი ახალი აღთქმა ცათა სასუფევლისკენ მოწოდებაა, რადგან მისი მოპოვებაა ჩვენი მყოფობის არსი და აზრი. აღდგომილი მაცხოვარიც სწორედ ცათა სასუფევლის ცოდნას უზიარებდა თავის მოწაფეებს, განსაკუთრებით 40 დღის მანძილზე, როცა ზეცად ამაღლებამდე ეცხადებოდა მათ და სამოციქულო ღვაწლისთვის ამზადებდა და განამტკიცებდა.

ამის შედეგი იყო ის, რომ მოციქულები, რომელთაც დაბრკოლებისა და შიშის გამო ჯვარცმისას მიატოვეს იესო და სინედრიონის მიერ წაქეზებული ხალხისა და ხელისუფალთაგან შეძრწუნებულნი გარეთ გასვლასაც ვერ ბედავდნენ, უხრწნელ სხეულში მკვდრეთით აღმდგარი მაცხოვრის არაერთგზისი ხილვითა და მასთან ურთიერთობით დარწმუნდნენ, რომ ასეთივე იქნებოდა საყოველთაო აღდგომისას ჩვენი სხეულებრივი მდგომარეობაც, რომ სიკვდილმა ძალა დაკარგა და მარადიული სიცოცხლისაკენ გაგვეხსნა გზა. ამიტომაც სრულიად გაუქრათ მიწიერ სხეულთან გაყრის შიში და მათში სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვებამ იზეიმა.

ისინი იმდენად განმტკიცდნენ და იმდენად განიბრძნენ უფლის სწავლებით, რომ წმინდა მიწაზეც და მთელ მსოფლიოშიც უშიშრად დაიწყეს სახარების ქადაგება და მოწამეობრივი სიკვდილიც სიხარულით მიიღეს.

* * *

**უფალმა**, ადამის ცოდვის გამოსყიდვით, თავის მორწმუნეთათვის სინანული გახადა იმდენად ცხოველსმყოფელი, რომ ავაზაკს სიცოცხლის ბოლო წუთების აღმსარებლობითა და გულწრფელი სინანულით მთელი ამქვეყნიური ცოდვები მიუტევა და სამოთხის კარი გაუხსნა, რითიც თითოეულ ჩვენგანს მოგვცა იმედი სინანულის გზით ცხონებისა.

ეკლესიის დიდი მოძღვრები გვასწავლიან იმასაც, რომ ჩვენს პირველმშობლებს ცოდვა სამოთხეშივე რომ მოენანიებინათ, დანაშაული რომ ერთმანეთისა და მაცდურისათვის არ გადაებრალებინათ, არამედ თავიანთი ამპარტავნება და ურჩობა უფლის წინაშე გულწრფელად ეღიარებინათ, აღარ დაისჯებოდნენ.

ღვთის წინაშე შენდობა რომ ეთხოვა და ღალატის გამო შესატყვისი სინანული გამოევლინა, თვით იუდაც, პეტრე მოციქულის მსგავსად, შეწყალებას მიიღებდა, მაგრამ იგი, სინანულის ნაცვლად, სასოწარკვეთილებამ მოიცვა, რაც მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა.

**გახსოვდეთ, რაც არ უნდა დიდი იყოს თქვენი ცოდვები, იმედი არ დაკარგოთ და სინანულის მადლით დაუბრუნდით ქრისტეს! ზეციურ მკურნალს არა ჰყავს უკურნებელი სნეულნი, რადგან მისი მოწყალება და შეწევნის ძალა უნაპიროა; ოღონდ უფალს გულმოდგინება და ნაყოფი სინანულისა უნდა ვუჩვენოთ. ადამიანს ღუპავს არა ჩადენილ ცოდვათა სიმრავლე, არამედ მათი მოუნანიებლობა, გაქვავებული და გასასტიკებული გული.**

* * *

**წინასააღდგომო** მარხვას ეკლესია როგორც შემოქმედის, ასევე მოყვასის მიმართ სინანულისა და შენდობის მოწოდებით იმიტომ იწყებს, რომ ქრისტიანული ცხოვრება წესად გვექცეს, სულიერი წყლულები მოვიშუშოთ და ნაკლოვანებანი აღმოვფხვრათ, რათა ჩვენში და ჩვენ გარშემო არსებულ გარემოში მოხდეს საღვთო წიაღისკენ მიბრუნება, – ურთიერთსიყვარულში დაბრუნება.

**ბოლო პერიოდშიც და, სამწუხაროდ, წელსაც პოლიტიკურმა პროცესებმა ხალხში ისეთი დაძაბულობა შემოიტანა, რომ, როგორც მძიმე მარხვის განცდა, ისე სააღდგომო სიხარულის განწყობა, გვერში განელდა.**

**მიუხედავად ქვეყანაში არსებული დაპირისპირებისა და რთული ვითარებისა, ჩვენ უნდა გვაერთიანებდეს სამშობლოს სიყვარული და, განსხვავებული აზრების მიუხედავად, შეგვეძლოს მშვიდობიანი თანაცხოვრება.**

ყველას მოგიწოდებთ, დღეს, შესაძლებლობისამებრ, ავმაღლდეთ სულიერად, მივეცეთ აღდგომის დღესასწაულის სიხარულს და საგალობლებით შევეგებოთ მაცხოვარს; გავერთიანდეთ ქრისტეში და ერთად შევთხოვოთ მას კეთილდღეობა და მშვიდობა როგორც საქართველოსთვის, ისე უკრაინის, ახლო აღმოსავლეთისა და მთელი მსოფლიოსათვის.

უფალი თავისკენ უხმობს მწუხარეთ, სიმართლის მწყურვალეთ, მოწყალეთ, მშვიდობისმყოფელთ, გულით წმინდანთ და რწმენაში მტკიცეთ; მათ, რომელნიც არ ბრკოლდებიან ცილისწამებით, უსამართლო დევნითა და დამცირებით და სჯერათ, რომ, როგორც განვლო სინანულისა და მარხვის დღეებმა, ასე გაივლის წუთისოფლის განსაცდელებიც და სიმართლე აუცილებლად იზეიმებს, ვითარცა იზეიმა ქრისტეს აღდგომამ.

ამის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ მსოფლიო ცივილიზაცია თავის ჟამთა სვლას და მოვლენებს ორ ძირითად ნაწილად ყოფს, – ქრისტემდე და ქრისტეს შემდეგ წელთაღრიცხვით, რადგან 2000 წლის მანძილზე სწორედ მას უკავშირდება უდიდესი სულიერ-კულტურული და საკაცობრიო ცვლილებები და ქრისტეს ეკლესიაც ხარობს წმინდა მამათა და დედათა და თავის სხვა ღირსეულ შვილთა სიმრავლით.

**დღეს ჩვენთან ერთად უფლის აღდგომას ზეიმობენ ჩვენი გარდაცვლილი ახლობლები და წინაპრებიც, ჭეშმარიტი რწმენით აღსრულებულნი; დღეს ერთიანდება ცა და მიწა, დრო და მარადიულობა, რაც მთელი არსებით შეგვაგრძნობინებს, რომ ქრისტეა განმსაზღვრელი მთელი სამყაროს აწმყოსი, წარსულისა და მომავლისა; რომ იესოა სიცოცხლე და ერთადერთი წყარო სიცოცხლისა მათთვის, რომელნიც შეუდგებიან – განურჩევლად ეროვნებისა, სოციალური მდგომარეობისა და ასაკისა.**

მაშ, ყველამ გულით აღმოვთქვათ: ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა! აღდგომილმა მაცხოვარმა დალოცოს თითოეული თქვენგანი და სრულიად საქართველო, ამინ!

***სიყვარულით მუდამ თქვენთვის მლოცველი,***

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი**

**აღდგომა ქრისტესი,**
**თბილისი, 2024 წელი.**

# ახალგაზრდებო, უსინდისოდ გატყუებენ!

## „საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი“!

***„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის განხილვამ პარლამენტის სხდომათა დარბაზში და მთლიანად საქართველოში უკიდურესი დაპირისპირება გამოიწვია. ერთი მხარე (ხელისუფლება) კატეგორიულად ამტკიცებს, რომ კანონის მიღება აუცილებელია უცხოეთიდან საიდუმლო გზებით შემოსული ფინანსების გასაკონტროლებლად, ანუ ქვეყნის უცხოური გავლენისგან განთავისუფლებისათვის, მისი რეალური დამოუკიდებლობისათვის. ამის დამამტკიცებელი არგუმენტებიც უხვად მოჰყავს. მეორე მხარე (საპარლამენტო ოპოზიცია, არასამთავრობო ორგანიზაციები, მედიასაშუალებების ნაწილი) ასევე კატეგორიულად ამტკიცებენ, რომ ამერიკულის უაღრესად შერბილებული ანალოგით შექმნილი ეს კანონი არის რუსული, ემსახურება კრემლის ინტერესებს და დაღუპვით ემუქრება ქვეყნის სახელმწიფოებრიობას. ოღონდ ამის დასამტკიცებლად არავითარ არგუმენტს არ იშველიებენ – განსახილველი ამერიკული კანონის ანალოგი არის რუსული და მორჩა!***



**ოპოზიციურ** ძალებსა და მის მხარდამჭერებს „გამჭვირვალობის“ შესახებ კანონპროექტის წინააღმდეგ ქუჩური ბრძოლების წამოწყებას დამაჯერებელი არგუმენტის არარსებობაც აიძულებთ.

რატომ ემხრობა საქართველოს მოქალაქეების ერთი სოლიდური ნაწილი ოპოზიციის უარგუმენტო გააფთრებას, ცალკე მსჯელობის საგანია, მაგრამ ეს არის ფაქტი.

დიდი ორშაბათის საღამოს ხელისუფლების მოწოდებით გამართული შეკრებისას ტრიბუნაზე ბიძინა ივანიშვილის გამოჩენას საზოგადოება გულწრფელი ოვაციებით შეეგება. ეს ნიშნავს, რომ საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობა მას პატივს სცემს, მისი იმედი აქვს და... მისგან მეტ საჯაროობას ითხოვს. ზედმეტი მოკრძალება და ჩრდილში ყოფნა ყოველთვის არ არის გამართლებული. იმედია, „ოცნების“ საპატიო თავმჯდომარის გვერდით არიან გულწრფელი ადამიანები, ამ უბრალო ჭეშმარიტებას რომ შეახსენებენ.

29 აპრილის გრანდიოზული შეკრება ივანიშვილის მონაწილეობით, ოპოზიციისთვის უნდა ყოფილიყო და იყო კიდეც იმის ნიშანი, რომ საქართველო არ არის მხოლოდ ქუჩაში გატყუებული, ბრბოდ ქცეული გოგო-ბიჭების არმადა. საქართველო არის მოფიქრალი, მოაზროვნე, შემოქმედი, მომთმენი საზოგადოება, მოკლედ – ხალხი.

ერთობ მძიმე ფიქრების აღმძვრელია, რომ მოტყუებული და ბრბოდ ქცეული ახალგაზრდების აგრესიულ ეგრეთ წოდებულ „მიტინგებს“ ბოლო არ უჩანს. უკვე ვნახეთ პარლამენტის შენობაზე სიმბოლური შეტევები, ფანჯრების მსხვრევა, ქვაფენილების აყრა, კოცონების აბრიალება, ქვების, ბოთლებისა და უცნობი მხრჩოლავი გაზის ბალონების სროლა, გზის სავალი ნაწილების გადაკეტვა, პოლიციისთვის წინააღმდეგობა, შეტაკებები მიტინგების არამონაწილე მოქალაქეებთან, დედის გინება, სიტყვიერი და ფიზიკური თავდასხმები ჟურნალისტებზე, კატეგორიული მოთხოვნები „რუსული“ კანონპროექტის უკან გათხოვაზე, დაპატიმრებები... მცირეწლოვანი ბავშვების გამოსვლები, სიმღერები და ცეკვა-თამაშიც.

ვნახეთ შეტაკებები სამართალდამცველებთან; დაზარალებულები, როგორც მომიტინგეთა, ისე პოლიციელთა შორის.

ნიშანდობლივია, რომ მომიტინგეთა თავდაპირველი მოთხოვნა (კანონპროექტის უკან გაწვევა) ძალიან მალე ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნით შეიცვალა.

**ახლა მთავარი, რისთვისაც ეს ლაპარაკი წამოვიწყე.**

ვნების კვირის დიდი ოთხშაბათის ღამეს აგრესიულ მომიტინგეებს თავისი კაბინეტიდან „ისტორიული“ სიტყვით მიმართა მშობელ დედაზეც მეტად „მოამაგე“ სალომე ზურაბიშვილმა:

„გულანთებული ახალგაზრდები დღეს თავიანთ ენერგიას გვიზიარებენ, მივმართავ მათ, რომ რაღაცები არ არის საჭირო, დაანებეთ თავი პარლამენტის კარს, იქ არაფერი აღარ ხდება, ბრძოლა გადის არჩევნებზე და ყველა იმ კანონის გაუქმებაზე, რომელიც ერთი მეორეს გვაშორებს ევროპული გზიდან... ჩვენი ბრძოლა გადის არჩევნებზე და ყველა იმ კანონის გაუქმებაზე, რომელიც მიღებულია ამ ბოლო დროს ამ ხელისუფლების მიერ და რომელიც ერთი მეორეს გვაშორებს ევროპული გზიდან.“

ბარემ 4 მაისს ევროკავშირის ელჩებთან მისი შეხვედრაც გავიხსენოთ: „მე აქ ვარ იმისთვის, რომ ყველაფერი გავაკეთო, რათა სტაბილური გარემო, არჩევნებისკენ წასვლის შესაძლებლობა შევინარჩუნო, რაც ყველა იმ მიღებული კანონის შესწორების საშუალებას მოგვცემს, რომლებიც ჩვენს ევროინტეგრაციის გეგმებს არ შეესაბამება“. აქვე პროვოკაციული უწოდა ივანიშვილის გამოსვლას 29 აპრილს თბილისში გამართულ მიტინგზე, რომელსაც 200 ათასი საქართველოს მოქალაქე ესწრებოდა. თანაც, ევროპელ კოლეგებს „მაღალი დონის ვიზიტების“ თხოვნაც შეაპარა.

იმედია, ისიც გახსოვთ, რომ მანვე (საქართველოს პრეზიდენტმა!) ქართული არმიის დღეს ქართულ არმიას ხელისუფლების დაუმორჩილებლობისკენ მოუწოდა!

გთხოვთ, დაუკვირდეთ პრეზიდენტის სამწუხარო ქმედებას – მას აინტერესებს არა დღევანდელი კრიზისული ვითარება, არა ახალგაზრდობის (ქვეყნის მომავლის!) ბედ-იღბალი, არამედ ოქტომბრის არჩევნები. უფრო ზუსტად, აინტერესებს უეჭველად წაგებული ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების გაყალბებულად გამოცხადება, დღეს ქუჩაში მოპროტესტე ახალგაზრდობის საბოლოოდ ზომბირება და მათ იმედზე შემოდგომისთვის სახელმწიფო გადატრიალების მომზადება.

**მადამ პრეზიდენტის გამოსვლებს მყისიერად მოჰყვა ჯერ კიდევ გუშინ ბიძინა ივანიშვილის მაღმერთებელი, მისგან საკუთარი სიცოცხლით დავალებული და აწ უკვე მის დაუძინებელ მტრად ქცეული ეკონომისტი გია ხუხაშვილის მიმართვაც: თქვენაო, ჩემო ნიჭიერო, მამაცო და უკომპრომისო გოგო-ბიჭებო, სანუკვარი მიზნის მისაღწევად (ხელისუფლების გადასატრიალებლად!) მშობელ დედაზეც მეტად მზრუნველი და მომფერებელი ქალბატონი გჭირდებათ. აი, ისეთი, გვერდით რომ დაგიდგებათ და უანგარო რჩევა-დარიგებებს არ მოგაკლებთო. ჰოდა, მოეთათბირეთ დედა-პრეზიდენტ სალომეს, იგი უარს არ გეტყვით და, მიმიქარავს ჟანა დ'არკი, ძლევამოსილი გამარჯვებისაკენ (სახელმწიფო გადატრიალებისაკენ!) ფრანგული გალობით და დროშის ფრიალით გაგიძღვებათო.**

ღმერთმა ინებოს, ვცდებოდე, მაგრამ ახალგაზრდობის ხელით სახელმწიფო გადატრიალების იდეა უნდა იყოს არა სალომე ზურაბიშვილის, გია ხუხაშვილის, ან მელია-გვარამიასი, არამედ იმ არცთუ კარგად შენიღბული „გლობალური ომის პარტიის“ იდეა, ვინც აფინანსებს, მართავს და თავის ნება-სურვილს კარნახობს გასაიდუმლოებულ არასამთავრობოებსაც, პარლამენტში განწესებულ პათოლოგიურ მეამბოხეებსაც, რაღაც ყოვლად გაუგებარ გაერთიანებებსაც, პატრიოტიზმით გულანთებულ ლგბტ „საძმოსაც“, ხაზარაძე-ჯაფარიძე-წერეთლის მასტის ბიზნესმენებსაც და ტრაკშიშველა „გირჩების“ დონის პოლიტიკოსებსაც... და, რაც მთავარია, თვით თანამედროვე მსოფლიოს ბევრი ქვეყნის ხელისუფლებასაც.

მითოლოგიური „რუსული კანონი“, თვით ჩვენი „ისტორიული მტერი რუსი“ აქ არაფერ შუაშია. ეს არის პრიმიტიული სატყუარა გაბრიყვებული ახალგაზრდობისა და მათი უვიცი აღმზრდელ-დამრიგებლებისათვის.

საქართველოს თავმოყვარე ხელისუფლებამ, სავარაუდოდ, უარი თქვა დამამცირებელი მითითებების შესრულებაზე. თბილისში მიმდინარე მოვლენებიც იმ იდუმალი „ომის პარტიის“ შურისძიებაა.

**დღეს თბილისის ქუჩებში მორბენალი ცრემლისმომგვრელად პროვინციული აზროვნების ახალგაზრდობა დასაღუპავად გამეტებული განტევების ვაცია. მას დაუმორჩილებლობის, ძალადობის და მექრთამეობისკენ უბიძგებენ. სინამდვილეში, ქმნიან შეიარაღებულ ბანდებს, რომელსაც სახელმწიფო გადატრიალებისთვის გამოიყენებენ. მერე ყველას გაანადგურებენ. სხვათა შორის, პირველი, ვინც ამ გულუბრყვილო ახალგაზრდობას გაწირავს, იქნება „გირჩი“.**

**სამწუხაროდ, ასეთია რევოლუციების კანონზომიერება.**

საფრანგეთის „დიდი რევოლუციის“, „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის“, ჩი-



ღმერთმა ინებოს, ვცდებოდე, მაგრამ ახალგაზრდობის ხელით სახელმწიფო გადატრიალების იდეა უნდა იყოს არა სალომე ზურაბიშვილის, გია ხუხაშვილის, ან მელია-გვარამიასი, არამედ იმ არცთუ კარგად შენიღბული „გლობალური ომის პარტიის“ იდეა, ვინც აფინანსებს, მართავს და თავის ნება-სურვილს კარნახობს გასაიდუმლოებულ არასამთავრობოებსაც, პარლამენტში განწესებულ პათოლოგიურ მეამბოხეებსაც, რაღაც ყოვლად გაუგებარ გაერთიანებებსაც, პატრიოტიზმით გულანთებულ ლგბტ „საძმოსაც“, ხაზარაძე-ჯაფარიძე-წერეთლის მასტის ბიზნესმენებსაც და ტრაკშიშველა „გირჩების“ დონის პოლიტიკოსებსაც... და, რაც მთავარია, თვით თანამედროვე მსოფლიოს ბევრი ქვეყნის ხელისუფლებასაც.

**მითოლოგიური „რუსული კანონი“, თვით ჩვენი „ისტორიული მტერი რუსი“ აქ არაფერ შუაშია. ეს არის პრიმიტიული სატყუარა გაბრიყვებული ახალგაზრდობისა და მათი უვიცი აღმზრდელ-დამრიგებლებისათვის.**

ნეთის დიდი რევოლუციის, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების საწინააღმდეგო „რევოლუციის“ შემდგომი რეპრესიული მოვლენები ამის კლასიკური ნიმუშებია.

* * *

**კიდევ** ერთი მრავლისმთქმელი ფაქტი – საქართველოს პრემიერ-მინისტრმა უარი თქვა აშშ-ს ხელისუფლების წარმომადგენლებთან სტრატეგიულ საკითხებზე მოლაპარაკებაში მონაწილეობაზე. როგორც პრემიერმა განმარტა, ამერიკის ხელისუფლების მიწვევას ჰქონდა ულტიმატუმის ფორმა – საქართველო-აშშ-ს შორის სტრატეგიულ ურთიერთობებზე მოსალაპარაკებლად ვაშინგტონში ჩამოდით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის განხილვას შეაჩერებთო! შეგახსენებთ, რომ საუბარია იმ კანონის ანალოგზე, რომელიც 1938 წლიდან მოქმედებს აშშ-ში და, რომელიც, თურმე მიუღებელია, მეტიც, „რუსულია“ საქართველოსთვის.

თავის მხრივ, ევროპარლამენტის ხელმძღვანელმა შარლ მიშელმა, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა მეთიუ მილერმა თავი აარიდეს შეხვედრას საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელობასთან „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის უშუალო და დეტალური განხილვის მიზნით.

ძალიან მინდა ვცდებოდე, მაგრამ ძნელი არ უნდა იყოს მიხვედრა, საიდან იმართება საქართველოში მიმდინარე მოვლენები, რატომ არის ამერიკული „ფარას“ ქართული ანალოგი „რუსული“: ჩვენ უნდა უკიდურესად გავამწვავოთ ურთიერთობები რუსეთთან, რათა ყველგანმყოფ და ძლევამოსილ „ომის გლობალურ პარტიას“ ჩვენი დაცვის საბაბი მიეცეს, ვაზიანში, ყიტაანში და საჯავახოში თავისი სამხედრო ძალები განალაგოს, თბილისში ხაზეიშვილის მარიონეტული მთავრობა დასვას და მახლობელი აღმოსავლეთი თბილისიდანაც აკონტროლოს.

სწორედ ამის მანიშნებელია, რომ ჩვენზე დაუცხრომლად მზრუნველი და მარადიულად ღრმად შეშფოთებული ბატონი მეთიუ მილერი მამობრივად მოგვიწოდებს, თქვენი პოლიცია დემონსტრანტებს ნაზად და სიფრთხილით მოეკიდოსო. და ეს იმ დროს, როცა რამდენიმე დღის წინათ ამერიკული პოლიცია სასტიკად გაუსწორდა კოლუმბიის, ვირჯინიის, იელის, პენსილვანიის, ლოს-ანჯელესის, პორტლენდის უნივერსიტეტებში შეკრილ პალესტინელთა უფლებების დამცველ სტუდენტებს. რაც მთავარია, ამერიკულ ოპოზიციას, თვით მეთიუ მილერსაც ერთი გადაკრული სიტყვაც კი არ დაუძრავთ არც პოლიციის სასტიკ ქმედებაზე და არც პრეზიდენტ ბაიდენის პოლიციისადმი სამადლობელო გამოსვლაზე.

იგივე განმეორდა საფრანგეთში, სადაც ფრანგულმა პოლიციამ სასტიკად დაარბია ხელფასის მომატების მოთხოვნით პარიზის ქუჩებში გამოსული მშვიდობიანი ფრანგი მოქალაქეები. იქაც მხოლოდ საქებარი სიტყვები პოლიციისადმი.

**ოპოზიციისა და მათი ბნელით მოცული დამფინანსებლების მიერ გაწირულ-წაქეზებულ ქართველ ახალგაზრდობასთან საერთო ენის გამონახვა მართლაც უაღრესად საშური საქმეა. ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ დიალოგი უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენელთა მონაწილეობის გარეშე და პირადად ბატონი ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით გაიმართება.**

**ალბათ ოცნების სფეროა, მაგრამ ასეთ შეხვედრაში მონაწილეობა ჩემთვის დიდი პატივი იქნება.**



ჩვენ არ გვყავს დასაკარგი შვილები.

**თეიმურაზ ქორიძე**

06. 05. 2024

# ქართული გვარების აქტიურობა ერის წინსვლის საწინდარია

## სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზი

**საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა, ქართული გვარების შეკავშირება ხელს უწყობს ერის გამრავლება-გაძლიერებას, რამდენადაც მრავალრიცხოვანია გვარი, მობილიზებული და სამშობლოს გულანთებული პატრიოტებით იქნება მისი შემადგენლობა დაკომპლექტებული, მით უფრო მალე მივაღწევთ სანუკვარ ოცნებას, – ქვეყნის გაერთიანებას. ერის შეკავშირება-შედუღაბებას, მსოფლიოს ცივილიზებულ სამყაროში ღირსეული ადგილის დამკვიდრებას.**

სწორედ ქართული გვარების ერთიანობისკენ მოგვიწოდებს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, გვასწავლის და შეგვახსენებს, როგორ გვიყვარდეს ერთმანეთი, სამშობლო და დედა-ეკლესია. ამ მამულიშვილური ჭეშმარიტებისაკენ გვამოძღვრავს და ყველაფერს აკეთებს ერის გაერთიანებისათვის და სრულყოფისათვის.

პატრიარქის ინიციატივით შეიქმნა საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზი, რომელსაც დიდი მონდომებით და ენთუზიაზმით უდგას სათავეში ბატონი ირაკლი ბრეგვაძე.

დარბაზის მიერ შემუშავებულ პერსპექტიულ გეგმაში კონკრეტულადაა გაწერილი ღონისძიებები, რომელთა რეალიზაცია კიდევ უფრო სრულყოფილია ქართული გვარების შეკავშირების, მემკვიდრეობითობის, ისტორიის და იდენტობის დახვეწა-განვითარება.

გვარების წინამძღოლები უანგაროდ, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, ენთუზიაზმით, სიყვარულით და ნამდვილად პატრიოტული სულისკვეთებით ასრულებენ მეტად მნიშვნელოვან სამუშაოს, რისთვისაც ისინი დასაფასებელი ადამიანები არიან და იმსახურებენ საზოგადოებისგან პატივისცემას.

* * *

**ქართული გვარების წინაშე არსებულ მრავალრიცხოვან პრობლემურ საკითხებზე იყო გამახვილებული ყურადღება ამ რამდენიმე დღის წინათ სამების საკათედრო ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში გამართულ სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზის ყრილობაზე, რომელზეც შეჯამდა განვლილი სამი წლის მანძილზე განხორციელებული ღონისძიებები.**

მომხსენებელმა, გვარების წინამძღოლთა დარბაზის გამგეობის თავმჯდომარემ, ბატონმა **ირაკლი ბრეგვაძემ** ვრცლად ისაუბრა გვარების მიერ მუშაობის გააქტიურების თვალსაზრისით შესრულებულ ღონისძიებებზე და ჯერ კიდევ გადაუწყვეტელ პრობლემებზე.

**კარგ ტრადიციად დამკვიდრდა ყოველკვირეული სატელევიზიო გადაცემა ,,წუთისოფელი“, სადაც გვარების წინამძღოლები ერთგვარ ანგარიშს აბარებენ მაყურებელს გაწეული საქმიანობის თაობაზე. გაზეთ ,,საქართველოს რესპუბლიკაში“ სისტემატიურად იბეჭდება ქართული გვარების ისტორიები, სამების ტაძარში აღევლინება ღვთისმშობლის სავედრებელი პარაკლისი, მნიშვნელოვნად განმტკიცდა საპატრიარქოსთან გვარების წინამძღოლთა დარბაზის გამგეობის ურთიერთობა. დადებითად შეფასდა პატრიარქის იუბილესთან დაკავშირებული მადლიერების გრაგნილის დამზადება, რომელსაც ხელს აწერენ გვარების წინამძღოლები, გრაგნილი დაცული იქნება საპატრიარქოს არქივში. სისტემატიური ხასიათი მიიღო პატრიარქის ანგელოზის დღისადმი მიძღვნილმა ღონისძიებამ, ასევე პატრიარქის ლოცვა-კურთხევით ყოველ წელს „კვირაცხოვლობის“ აღსანიშნავად იმართება შეკვეთილი ლოცვა საქართველოს გვარების წინაპრების სახელზე.**

დიდი და შრომატევადი მუშაობა მიმდინარეობს წინამძღოლთა დარბაზის გამგეობის მიერ გვარებში მართლმადიდებლური რწმენის განმტკიცებისათვის საგვარეულო ტაძრების, ეკლესია-მონასტრების მშენებლობა-რესტავრაციისთვის, მოსახლეობაში ეროვნულ-პატრიოტული, ტრადიციული სულისკვეთების ახალგაზრდობაში გაღვივება-განმტკიცებისთვის, გვარში სახელოვანი პიროვნებების წარმოჩენისთვის, გვარების ისტორიული და მეცნიერული კვლევებისთვის, სოციალური პროექტების განხორციელებისთვის და სხვ.

დარბაზის უპირველეს ფუნქციას წარმოადგენს, დახმარება აღმოუჩინოს პატრიარქის მიერ დალოცვილ გვარებს, გვარის ისტორიის შექმნა-ძიებაში, საგვარეულო ხატის, დროშისა და სიმბოლოების შედგენაში, წარმატებულ ახალგაზრდების პროფესიის დაუფლებასა და დასაქმებაში. გვარების



წინამძღოლთა გამგეობამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო გვარების ისტორიის შესწავლას. მრავალმა გვარმა წარმატებით შეისწავლა საკუთარი გვარის ისტორია და შესანიშნავი წიგნებიც გამოსცა. გვარების ისტორიის შესწავლაში დიდი წვლილი შეაქვს ბატონებს **ლევან ბერაიას** და **ვალერიან ხიმშიაშვილს,** დარბაზს ჰყავს ხატმწერი – **გიორგი ზაქაიძე,** კარგა ხანია რაც დაიწერა გვარების საკუთარი ჰიმნი, რომლის ავტორია დარბაზის თანათავმჯდომარე, კომპოზიტორი **ჯემალ ადამაშვილი.** დარბაზის სასიკეთოდ უნდა ითქვას ისიც, რომ თბილისში, კერძოდ, ბაგებში მშენებარე ეკლესიის გუმბათზე აღმართული ჯვარი დარბაზის წინამძღოლთა შეგროვილი თანხით იქნა შეძენილი და დამონტაჟებული. დარბაზის გამგეობა უშურველად ეწევა დახმარებას მშობლების მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებს და სხვა.

გვარების წინამძღოლთა დარბაზის გამგეობა შეივსო ენერგიული, მაღალი პასუხისმგებლობის მქონე პიროვნებებით. გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეებად აირჩიეს **ვახტანგ აბულაძე, გოგიტა მელიქიძე და ზაზა ქარცივაძე.**

საპატიო სიგელებით დააჯილდოვეს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი **შოთა ზედგინიძე,** ახალციხის რაბათის აღდგენაში აქტიური წვლილისათვის დაჯილდოვდა **თემურ აბულაძე,** გვარების კვლევაში აქტიური მუშაობისათვის სიგელი გადაეცა **ვალერიან ხიმშიაშვილს.** სასიხარულოა ისიც, რომ დარბაზში ჩამოყალიბდა მრჩეველთა საბჭო, სადაც გაერთიანდნენ საქართველოში კარგად ცნობილი და ავტორიტეტული პიროვნებები: დეკანოზი **ანდრია ჯაღმაიძე, თენგიზ მაისურაძე, ვაჟა გერიძე, იუზა ტყემალაძე, რეზო გარამიძე და დავით ონოფრიშვილი.** სამუშაო ჯგუფებში აქტიურად მონაწილეობდნენ ცნობილი მეცნიერები, ისტორიკოსები, არქიტექტორები, ბიზნესმენები, მწერლები, პოეტები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები.

დაბადების 65 წლისთავის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით დაჯილდოვდა ქველმოქმედი და მეცენატი, სატელევიზიო გადაცემა ,,წუთისოფლის“ ავტორი, წინამძღოლთა დარბაზის გამგეობის თავმჯდომარე, ბატონი **ირაკლი ბრეგვაძე.**

**გვარების წინამძღოლთა დარბაზი აპოლიტიკური ორგანიზაციაა, საქმიანობა ძირითადად მიმართულია გვარების წევრთა სულიერების განმტკიცებისაკენ. გვარების წინამძღოლთა დარბაზის გამგეობის უპირველესი საზრუნავია გვარების გამთლიანება-შეკავშირება, ეკლესია-მონასტრებში, საღვთო მსახურებაში მრევლის აქტიური მონაწილეობა, რათა არ მოვწყდეთ ისტორიულ ფესვებს, გვახსოვდეს და მტკიცედ ვიცავდეთ ერის იდენტობას, განვამტკიცებდეთ დედა ეკლესიისადმი პატივისცემას, შთამომავლობას ვუზრდიდეთ სულიერად, ზნეობრივად სრულყოფილ ახალგაზრდებს, რათა არ დაიკარგოს ერის მამის ილიას თქმული შეგონება „მამული, ენა, სარწმუნოება“. სწორედ ეს მოწოდებაა გვარების წინამძღოლთა დარბაზის გამგეობის უპირველესი საზრუნავი.**

ყრილობაზე ბევრი საგულისხმო წინადადება ითქვა მუშაობის გააქტიურების თვალსაზრისით. ხაზგასმით აღინიშნა, – **ჩვენთვის მიუღებელია ის აურზაური და თავდასხმები საპატრიარქოსა და პატრიარქისადმი, რომელიც ამ ბოლო დროს თითქმის მოდაში შემოვიდა. გვარების წინამძღოლთა დარბაზი ემიჯნება ისეთ მკრეხელურ გამონათქვამებს, რომლებიც გვესმის ოპოზიციური პარტიების ლიდერებისგან და ცალკეული ოპოზიციური ტელეეთერებიდან.**

საგვარეულო წინამძღოლთა დარბაზისთვის ტაძარი ჩვენი რწმენის, სიმყარისა და სულიერი სიძლიერის ცენტრია და ვერავითარი ანტიქრისტე, ლიბერალი თუ საზღვარგარეთის ანტიქრისტიანულად მოქმედი პროვოკატორი და მოსყიდული პიროვნება ქართველ კაცს ვერ შეაცვლევინებს ქრისტიანულ რწმენას, ეს უნდა ახსოვდეს ყველას.

გვარების წინამძღოლთა დარბაზის ყრილობის დელეგატებმა შეიმუშავეს შემდგომი გააქტიურების ვრცელი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს საპატრიარქოსა და ქვეყნის ხელისუფლებისადმი ერთსულოვან მხარდაჭერას.

**ვალერიან ლომიძე,**
**საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, გვარების წინამძღოლთა დარბაზის გამგეობის წევრი.**

# ჰიტლერელი ბებია

**ჩვენი** ნაწილი უკრაინის ქალაქ კონოტოპში იდგა. სოფლის მახლობლად სამხედრო აეროდრომისთვის ასაფრენ ბილიკს ვაგებდით (ისე, კიევსა და კონოტოპში აგურის სამი სახლიც მაქვს აშენებული).

ბატალიონის მესვეურები სოფელში შესვლას გვიკრძალავდნენ – მეორე მსოფლიოს ომის დროს (მისი დამთავრებიდან სულ რაღაც 27 წელი იყო გასული) აქაურები ჰიტლერს ერთგულებისთვის რკინის ჯვრით ჰყავსო დაჯილდოებული...

იმ მზიან კვირადილას, როგორც მახსოვს, 9 აპრილი იყო, აეროდრომზე სამუშაოდ გაგვიყვანეს. მე და ერთ ყაზანელ ჯარისკაცს ასაფრენი ზოლის მიმდებარედ განათების ბოძების ჩასაბეტონებლად ორმოების ამოთხრა დაგვევალა.

შუადღე მოახლოებული იყო, როცა სოფლიდან მომავალ საცალფეხო გზაზე ფერად კაბაში გამოწყობილი ბებულია დავლანდე. ოციოდე ნაბიჯზე რომ მოგვიახლოვდა, უცებ შედგა, შეგვათვალიერა და სწრაფადვე უკან გაბრუნდა.

– ესეც შენი ჰიტლერელი ბებია! – ერთგვარი დამცინავი ღიმილით მითხრა ყაზანელმა.



ქალის საქციელმა მეც გამკენწლა გულში, მაგრამ არაფერი მითქვამს, მუშაობა განვაგრძე.

ნახევარი საათიც არ იქნებოდა გასული, ის ბებია ისევ გამოჩნდა.

ამჯერად ჯიქურ ჩვენკენ აიღო გეზი.

მე და ნასიროვმა ერთმანეთს გადავხედეთ.

– ხრისტოს ვასკრეს! – მოახლოებისთანავე სახეგაცისკროვნებული მოგვესალმა.

– ჭეშმარიტად! – ვუპასუხე ქართულად, რადგან არ ვიცოდი, რუსულად როგორ უნდა მეთქვა და ხელის მოჩრდილებით ორმოდან ამოვხედე. ასაკის მიუხედავად, საკმაოდ სიმპათიურად გამოიყურებოდა.

ბებულიას გაეღიმა. ქაღალდის პარკი გახსნა – ორი მოზრდილი ხატისპური (პასკა), ათიოდე წითლად შეღებილი კვერცხი და ლიმონათის ბოთლით არაყი იდო.

– თქვენთვის ბევრის დალევა არ შეიძლება, – წამიერად სასმისისკენ გაქცეული ჩვენი მზერა არ გამოჰპარვია.

მადლობა გადავუხადეთ.

– შვილებო, თქვენს უფროსობას თავში ტვინი არ აქვს, აღდგომა დღეს რომ გამუშავებთ?!

გულისტკივილი ვერ დამალა ქალმა. კიდევ ერთხელ მოგვილოცა აღდგომა და ქალაქისკენ მიმავალ გზას დაადგა...

მას შემდეგ ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა, მაგრამ ის კადრები ახლაც თვალწინ მიდგას!

ასეთი რამის დავიწყება შეუძლებელია.

ღმერთმა დალოცოს უკრაინელი ხალხი.

მშვიდობა დაუმკვიდროს უფალმა!



**ვაჟა დანელია**

# დაუმარცხებელი გოდერძი მახარაძის მორიგი რეკორდი



**2024 წლის** 5 მაისს, აღდგომას, გოდერძი მახარაძემ ახალი, 61-ე მსოფლიო რეკორდი დაამყარა. რთული მეტეოროლოგიური პირობების მიუხედავად, ღია ცის ქვეშ, **მან 1 საათსა და 35 წუთში, კალათბურთის ბურთი თავით 12 007-ჯერ აკენწლა.** სარეკორდო გამოსვლა სოფელ შუხუთში შედგა.

რეკორდს დამსწრე საზოგადოების გულწრფელი ემოციები და უცხოელი ტურისტების აღფრთოვანება ახლდა.

სარეკორდო ასპარეზობის ორგანიზატორები ქალაქ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი და სპორტის განვითარების ცენტრი იყვნენ; სპონსორი, – სპორტული და საგანმანათლებლო მაღაზიათა ქსელი „ლეგასი."

გოდერძი მახარაძემ სარეკორდო ასპარეზობა საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებს მიუძღვნა.

**P.S.** როგორც უკვე აღვნიშნეთ, **ეს რეკორდი გოდერძისთვის რიგით 61-ეა,** შარშან, აღდგომას, მან ორი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მნიშვნელოვნად გააუმჯობესა პოლ ხანის (შვეიცარია) მიერ დამყარებული რეკორდი და 111-ის ნაცვლად **სახანძრო კიბის 358 საფეხური დაძლია. ამისთვის მას 17 წუთი და 35 წამი დასჭირდა.**

**მეორე რეკორდი ექსკლუზიური იყო გოდერძისთვის.** მან არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად გამოცხადებული ტრადიციული ლელობურთის **უმძიმესი ბურთი თავზე დაიდო და 50 მეტრი 32,30 წამში გაირბინა** (შარშან ლელობურთის წონა კი **16,4 კილოგრამს** შეადგენდა).

ფოტო **ნუგზარ ასათიანისა**

# ზედმეტად აქტიური ლადო აფხაზავა ჯოხებით სცემეს!

**შინაგან** საქმეთა სამინისტრომ გამოძიება 126-ე მუხლით დაიწყო, რაც ძალადობას გულისხმობს.

შეგახსენებთ, მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს მფლობელ, ლადო აფხაზავას სამიოდე დღის წინ თავს დაესხნენ. მისი განცხადებით, შემთხვევა ლანჩხუთში, მის საცხოვრებელთან მოხდა, თავდამსხმელები ჯოხებით იყვნენ „შეიარაღებულები".

მომხდართან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა „მასწავლებლის ეროვნულმა ჯილდომ" „ფეისბუქზე", სადაც წერია, რომ განხორციელებული თავდასხმა განსაკუთრებით საეჭვოა მისი სამოქალაქო აქტიურობის ფონზე.





# კანადამ გადაწყვიტა, შექმნას უცხოური აგენტების რეესტრი




ამის შესახებ უცხოურ წყაროებზე დაყრდნობით ინფორმაციასავრცელებს სამაუწყებლო ტელეკომპანია „რუსთავი2". კანადის საზოგადოებრივი უსაფრთხოების მინისტრმა დომინიკ ლებლანმა დააინიცირა კანონპროექტი რომელიც, მისი თქმით, კანადას დაიცავს საგარეო ჩარევისგან. პრესკონფერენციაზე ლებლანმა თქვა, რომ ახალ 103-გვერდიან პროექტში გათვალისწინებული მრავალი ცვლილება კანადას მისცემს „ახალ, თანამედროვე ინსტრუმენტებს" უცხოური ჩარევის წინააღმდეგ საბრძოლველად. „კანადაში არის ძლიერი, ღია და თავისუფალი დემოკრატია, თუმცა, ამ სიძლიერეებმა შეიძლება კანადა სამიზნედ აქციოს მათთვის, ვისაც სურს საკუთარი ინტერესების წინ წაწევა ჩვენი ქვეყნის ინტერესების საზიანოდ". კანონმდებლობა ცვლის CSIS აქტს, ინფორმაციის უსაფრთხოების აქტს, კანადის მტკიცებულების აქტს და სისხლის სამართლის კოდექსს, რათა შეიქმნას ახალი დეფინიციები, რომლებიც დაკავშირებულია უცხოურ ჩარევასთან.

# „ასობით შვილის მამები"...

**კანადაში** სამი ნათესავი 600 შვილის მამა გახდა კვებეკის პროვინციაში. ისინი ადგილობრივ ქალებზე სპერმას ყიდდნენ ინტერნეტით, კანონის გვერდის ავლით. ამის შესახებ CTV News Montreal იტყობინება ჟურნალისტების მარი-კრისტინ ბერჯერონისა და მაქსიმ ლანდრის დოკუმენტურ ფილმში, „ასობით შვილის მამები".

მამაკაცებმა გადაწყვიტეს დამატებითი ფულის გამომუშავება სპერმის გაყიდვით, მაგრამ სპეციალურ ცენტრებში არ წასულან. ამის ნაცვლად, მათ დაიწყეს თავიანთი ბიომასალის შეთავაზება ინტერნეტის საშუალებით, ქვეყნის ჯანდაცვის სამინისტროს მიერ რეგულირებული სისტემის გვერდის ავლით. პირველ რიგში, ცნობილი გახდა ორი „ბიზნესმენის" შესახებ, რომლებმაც ასობით ქალი გაანაყოფიერეს ქალაქში. ამის შემდეგ ჟურნალისტებმა აღმოაჩინეს კიდევ ერთი დონორი, რომელიც აღმოჩნდა, რომ ამავე ოჯახიდან იყო.

„ჩვენ მივიღეთ ბევრი გამოხმაურება დედებისგან, რომლებიც შეშინებულნი იყვნენ, რომ მათ შვილებს ათობით ნახევარძმა ჰყავდათ", – თქვა გამომძიებელმა ჟურნალისტმა მარი-კრისტინ ბერჟერონმა.

ახლა ხელოვნურად ჩასახული ბავშვების დედები წუხან, რომ მათი შთამომავლები ღვიძლის იშვიათ გენეტიკურ დაავადებას დაიმკვიდრებენ, რომლის მატარებლებიც ორი დონორი იყო.



# ლექსი — მეწყერი...



## ვანო ჩხიკვაძე

### უწმინდესო!

*დავიღალე,
დავიღალე, უფალო!..*

ვხედავ, სალოცავის ღია თაღებს
თქვენი ვედრების ხმა ცისკენ მიაქვს,
ჩემი, ფოთოლივით მოცახცახე,
ხელი ხელისგულზე გისვენიათ...

ის ხმა მომავლიდან ჩამორეკავს —
დედა ღვთისმშობელო, დაგვიფარე,
თუკი პატრონებად ვერ ვივარგებთ,
ამ ჩვენ საცხოვრისში სხვა იხარებს
ეგ ხერხემალი არ იღუნება,
არ თქვათ უწმინდესო, დავიღალე!

### სამშობლოვ!

ვეღარ მოინელე ამდენი ამკლები,
შენი ხსნა ვინც მხოლოდ ქრისტეში ჰგიე,
მადლობა უთხარი,
შორს ნუღარ გაჰყვები,
„ღრმად შეშფოთებულ“ და ეჭვიან „ძიებს“.

თვალი არ მოგტაცოს ბრჭყვიალა „აკიდომ
იკმარე აგვისტოს „მსუბუქი ლანჩი“
სხვა აბა ვინა გყავს,
ხელი რომ ჩაგკიდოს,
არ წაიფორხილო,
უფალთან დარჩი!

### თათბირი

ჭრელა-ჭრულა ჰალსტუხების
მხიბლავს ნაირფერობა,
გვამხნევებენ „მეგობრები“
მეცხრე ავენიუდან.
ვის უნახავს ამნაირი
საიდუმლო სერობა —
„ყველა ყრუი,“
„ყველა ცრუი,“
ღმერთო, ყველა იუდა!

✠

### ხუთი მარტი

„წითელ მოედანს“ დაბზუის „დრონი“ —
აფსუს, ბელადო,
„ვაჰ, დრონი, დრონი!“

სოფლის რადიო — ბოძზე ყორანი —
გვზაფრავდა ცივი ხმით, ლევიტანის —
უკვე მოადგა ჰადესს ბორანი,
ვისთვის მტარვალის,
ვისთვის — ტიტანის!

იდგა ორმოცდაცამეტის მარტი,
დამწუხრებული
და გაცრეცილი.
„თანამებრძოლთა“ აჭრილი „კარტი“
აჩხრიალებდა ღალატს ვერცხლივით.

როგორ მიიღო უკვდავთა დასმა
ტანჯვით მისული
აღსასრულამდე,
მტკვართან,
გორიჯვრის ზარების ნაცვლად
ვისთვისაც რეკდა კრემლის კურანტი?

ხომ გადაუჭრეს კედლის „არტახი“
რაინს, მკერდზე რომ გადაუტარა,
ძველებურად რად მიათახთახებს
დემოკრატია,
გარყვნილ უკანალს?!

ახალი უღლის გამომჭედელიც
ადრე თუ გვიან ითხოვს შენდობას —
ვინც დააშენა
„კედელს“ „კედელი“,
იმ უღმერთობას
ეს უღმერთობა!

ჩაივლის დროის მატარებელი,
ყველა „დიდების“ მზე რომ ჩაცხრება,
სამარეშიაც იგრძნობს, ბებერი
„წითელი კედლის“ შებარბაცებას!..

აღვიძებს ქალაქს —
პიკირებს „დრონი“,
აფსუს, ბელადო,
ვაჰ, „დრონი,
დრონი!“

# სააღდგომო სულთათანა

## „მე ლამაზი მეგობარი მყავდა“...



**72 წლის პოეტი თემურ ჩალაბაშვილი, ჩვენი დროის პოეზიის თბილისის ფიროსმანი, წინასაახალწლოდ, 2023 წლის 30 დეკემბერს სიონის ტაძრიდან გავაცილეთ იმქვეყნიურ სასუფეველში.**

აქ წაიკითხეს ჩვენი პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის სამძიმარი.

ბოლოს ჩოხოსანმა მომღერლებმა მაღლა ასწიეს მისი ჩასასვენებელი და სიმღერით გამოასვენეს ტაძრიდან...

მწარე ცრემლები ჩამოგვდინდა, საახალწლო განწყობა ჩაგვმწარდა...

არადა, ახალი წელიო, აღდგომა თუ გიორგობა, დიდი თუ მცირე დღესასწაული, პურმარილი მეგობართა წრეში, კახური ღვინო, ჭიქა და ყანწი თუ ვისმეს უყვარდა, ეს თემურ ჩალაბაშვილი იყო, ფიროსმანის თუ ტივებზე მოქეიფე ძველი თბილისელი ყარაჩოღელების „ნაღდი ჩამომავალი“, მომლხენი და მოსიყვარულე, სამშობლოს სიყვარულში დამწვარი პოეტი...

გარეგნულადაც ლამაზი იყო და სულიერადაც...

ეჰ, ჩემო თემო, მაგ სილამაზეს სიკვდილი როგორ და რანაირად მოერია?

სანამ უნივერსიტეტის სტუდენტი გახდებოდა, თემური უკვე წერდა ლამაზ ლექსებს. ვაკეში არსებულ სტუდქალაქში მთებიდან ჩამოსული ღარიბი სტუდენტები ვცხოვრობდით. თემური მალე შემოეჩვია სტუდქალაქს, რადგან ფილოლოგი სტუდენტების პოეზიის სიყვარული „აღმოაჩინა“...

ჩვენ დავმეგობრდით.

ის არ არჩევდა მდიდარს და ღარიბს, გული იქ მიუწევდა, სადაც პოეზია იყო, სადაც ხელოვანები ტრიალებდნენ, სადაც სულიერება სუფევდა. მისი პირიდან უხამს, უწმაწურ სიტყვას ვერ გაიგონებდით...

ადამიანებთან დაახლოება-დამეგობრების გასაოცარი უნარი გააჩნდა, მეკვლეებად კი ლექსებს წაიმძღვარებდა. მის წმინდა გულს მალე აღმოაჩენდნენ და გაცნობას ლხინი და ქეიფი მოჰყვებოდა. მისი მეგობრები იყვნენ: **ჰამლეტ გონაშვილი, თემურ წიკლაური, ომარ კელაპტრიშვილი, თენგიზ არჩვაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ზურაბ ქაფიანიძე,** კიდევ მრავალი და მრავალი სხვა. ბევრ მათგანს ლექსიც კი მიუძღვნა. აბა, როგორ არ დაგვამახსოვრდეს ზურაბ ქაფიანიძისადმი მიძღვნილი სტროფი:

***„ვერ გაცეკვეს მეფის კარზე,
ვერ შეგცვალა დრომო,
საქართველოს ბედ-იღბალზე
მოღრიალე ლომო!“***

ეცილებოდა ღარიბი და გაჭირვებული. ბევრჯერ უნახავთ, წიგნებით ხელში პატიმრებთან რომ მიდიოდა. გონებაში ჩამრჩა მისი ეს სტროფიც:

***„მტანჯავს, არ მასვენებს კითხვა,
ღმერთთან ერთი რამ მაქვს სათხოვარი:
როგორ განვიკითხო, მითხრას,
თვითონ მათხოვარმა მათხოვარი!“.***

სტუდენტობისას ფშავში დავპატიჟე ჩემს სოფელში — მაღაროსკარში. ჯერ ჩარგალში ვაჟას სახლ-მუზეუმს ვეწვიეთ. მაშინ ახალი მუზეუმი აშენებული არ იყო. თემური სასოებით ათვალიერებდა სამუზეუმო ექსპონატებს, ხელით ეხებოდა, თითქოს ეფერებოდა. მუზეუმის ეზოში დადხანს იდგა ჩაფიქრებული, ხშირად ადიოდა ჩარგალში დასასვენებლად, მეტყოდა: ვაჟა-ფშაველას სოფლის ჰაერით რომ ვსუნთქავ, თითქოს სხვანაირი ვხდებიო.

მაღაროსკარში დაბრუნებულები სოფლის ცენტრში ჩვენი სოფლის „მარადიულ“ დირექტორს **გოგი თურმანაულს** გადავეყარეთ. ბატონი გოგი გვეუბნება: — კარგია, რომ გნახეთ, საღამოს მწერლები მომდიან სტუმრად და თქვენც გეპატიჟებითო. გოგი თურმანაული მთელ საქართველოში ცნობილი იყო, როგორც მწერლების და სხვა ხელოვანების ხშირი და უზადო მასპინძელი.

30-ზე მეტი მართლაც „ელიტა“ სტუმარი ეწვია მაშინ ბატონ გოგის. აქ იყვნენ: **ჭაბუა ამირეჯიბი, ნოდარ დუმბაძე, რევაზ ინანიშვილი, გიგი ხორნაული, ვახუშტი კოტეტიშვილი, ალექსი ჭინჭარაული** და მრავალი სხვა. როგორ გაიხარა მაშინ თემურმა! დილამდე გაგრძელდა ქეიფი, დილით ხუთი საათისათვის მეზობლებმა სტუმრების გადალაპარაკება დაიწყეს გამოსაძინებლად. თემური მეუბნება: მოდი, ჩვენ ვახუშტი „დავითანხმოთო“. ვახუშტი დაგვთანხმდა. 800 მეტრი უნდა გაგვევლო ჩვენს სახლამდე. მთვარიანი ღამეა. მიდიან ვახუშტი და თემური შემთვრალებულ-შეზარხოშებულნი, და რაღაზე არ ლაპარაკობენ. ზოგჯერ დაბალ ხმაზე ღიღინებენ. ხშირად ჩერდებიან და სიცილით იხოცებიან.

დედამ ძალიან გაიხარა ძვირფასი სტუმრებით.

მეორე დღეს, შუადღისთვის, დედამ ფშაური ცხელ-ცხელი, ორთქლიანი ხინკალი შემოგვიტანა ხონჩით, თან ფშაური ჭაჭა — „ჟიპიტაურიც“ მოაყოლა. ვახუშტიმ გადახედა სუფრას და მეუბნება: მაინც რა ხართ ეს ფშავლებიო!

თემური ჩემი ქორწილის მეჯვარე იყო. 1983 წლის 16 სექტემბერს შუადღისას ბორჯომიდან ფშავისკენ მაყრიონი გაემგზავრა. ნახევარი საათით შეგვაგვიანდა. მექორწილენი ეზოში და ბევრი ეზოს გარეთაც, სამანქანო გზაზე გველოდებოდა. ყველამ ძალიან გავიხარეთ, და რასაკვირველია, თემურმაც, როცა მომლოდინეთა შორის შორიდან მაღალი, შავ შარვალ-კოსტიუმში გამოწყობილი **ზვიად გამსახურდია** დავინახეთ უფროს შვილთან კონსტანტინესთან ერთად. თემურს რომელიღაც ჩოხოსანი მომღერალთა გუნდი ჰყავდა დაპატიჟებული ქორწილში. მათ ხანჯლები მაღლა გადააჯვარედინეს და „ჯვარი წინასა“ შემოსძახეს. ჩვენ ხანჯლების ქვეშ გავიარეთ. ბატონი ზვიადიც მღეროდა ძველი ქართული სიმღერით გახარებული.

ქორწილი ორ დღეს გაგრძელდა. თამადობდა ჩვენივე სოფლის მკვიდრი, პოეტი **ირაკლი გოგოლაური.** ხანდახან თემურიც ამბობდა სადღეგრძელოს, ზვიადიც ადღეგრძელა. აქვე იყო **გოგი თურმანაულიც.** მან გამოსაძინებლად თავისთან წაიყვანა ძვირფასი სტუმრები. (ზვიადს უნდოდა, მე და მარინას მრავალი შვილი გვყოლოდა, — მეშვიდეს მოგინათლავთო(!) — გვითხრა. თავის დროზე მისი სიკვდილიც ჩემი „ცოცხლად დამარხვა“ იყო).

სტუდენტობისას თემურმაც დაგვპატიჟა მე და ჩემი თანაკლასელი, ფშაველი ფირუზ მაჩურიშვილი კახეთში, სოფელ ძველ ანაგაში. დიდებულად დაგვხვდნენ ძია ბეჟანი და დეიდა რუსუდანი. მოვიხიბლეთ კახეთით და კახელებით. თავის მხრივ ფირუზმაც გარმონის დაკვრით გააოცა ყველანი... (ოთხკურსდამთავრებული ფირუზი შემდეგ თბილისის ზღვაზე დაიხრჩო. მე და თემურმა ერთად გადავიტანეთ ეს ჯოჯოხეთი).

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, თემური თბილისის ნამდვილი კოლორიტი გახდა, არჩეული იყო თბილისის საპატიო მოქალაქედ. ბოლო წლებში სხვებთან ერთად ხელმძღვანელობდა საქართველოს მწერალთა შემოქმედებით კავშირს. თემური ჩემი წიგნების „მუდმივი“ რედაქტორი იყო. დიდებული რეცენზია უძღვნა ჩემს ლიტერატურულ წერილებს ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაზე...

ამქვეყნიდან მისმა უდროოდ წასვლამ სულიერად დამაობლა.

უკვდავი ლექსის „სანთელის“ ავტორს მარადიული ნათელი და სანთელი ჰქონოდეს იმ მარადიულ სასუფეველში! ღმერთმა აცხონოს მისი სული!

აი, ამ ლექსის ბოლო სტროფი:

***„შენ სანთელი ხარ, სუსტი, უბრალო,
მაგრამ რამდენი კვნესა გიგრძვნია;
შენ, საქართველოს ჭირისუფალო,
შედნიერი ხარ, წვა შეგიძლია“...***

**უშანგი ჯანგირაშვილი.**
**ქ. ბორჯომი.**

◉ ლეგიონერები

# დუბლთან ახლოს



**უკვე** გაუწყეთ, რომ რამდენიმე დღის წინათ გრაცის შტურმმა ზედიზედ მეორედ მოიპოვა ავსტრიის თასი, იქაური ბუნდესლიგის ფინიშამდე 2 ტურით ადრე კი **ოთარ კიტეიშვილის** გუნდი უახლოეს მრისხანე მდევარს – ზედიზედ 10-გზის გვირგვინოსან ზალცბურგს 4 ქულით უსწრებს და ძალიან ახლოსაა სეზონის დუბლით დასრულებასთან.

მორიგ შეხვედრაში გრაცელები მე-10 წუთიდან მინდორზე ათნი დარჩნენ სტანკოვიჩის გაძევების გამო ჰარტბერგთან და მალევე სტუმრებს ანგარიშის გახსნის საშუალება მისცეს, მაგრამ 58-ე წუთზე პარტნიორები ინდივიდუალური გარღვევით ქართველმა ნახევარმცველმა იხსნა – 1:1.

ზედიზედ მეხუთე მატჩში იყოჩაღა შედეგიანი დარტყმით საფრანგეთის ლიგა – 1-ის ერთ-ერთი აუტსაიდერის – მეცის ლიდერმა **ჟორჟ მიქაუტაძემ,** მაგრამ ეს რენთან შინ თუნდაც ქულის მოსაპოვებლად საკმარისი არ აღმოჩნდა – 2:3.

სამწუხაროდ, საკმაოდ სადავო გადაწყვეტილება ჭვაროსანთა ბომბარდირს წითელ ბარათად დაუჯდა, რაც მოგვიანებით მსაჯმა აღიარა კიდეც, ამიტომ შესაძლებელია ქართველი ლეგიონერი დისკვალიფიკაციას გადაურჩეს.

ამავე სადღესასწაულო უქმეებზე მორიგი გოლები ზურიკო დავითაშვილმა, ბუდუ ზივზივაძემ და ოთარ კაკაბაძემ გაიტანეს, ტრავმირებულ ხვიჩა კვარაცხელიას კი არ უთამაშია.

◉ ოკეანის გაღმა-გამოღმა

# ტრავმაც, აღიარებაც

**პარიზის ოლიმპიადამდე ორი თვით ადრე ნეკნი გაიბზარა გიორგი შერმადინმა, მაგრამ ვიმედოვნებთ საქართველოს ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი ივლისის დასაწყისში რიგაში გასამართავი მომავალი თამაშების საკვალიფიკაციო ტურნირამდე გამოჯანმრთელდება და პარტნიორებს შეუერთდება.**



რაც შეეხება საგანგაშო ფაქტს, იგი ლიგა ენდესას გასვლით შეხვედრაში ბრეოგანთან წაგებულ შეხვედრაში მოხდა, როცა გიო უერტასისთვის ბლოკის დაყენებას ცდილობდა და მეტოქის იდაყვით უძლიერესი დარტყმა მიიღო.

გასული კვირის სასიხარულო სიახლეედ იქცა ჭვაროსანთა კაპიტან **თორნიკე შენგელიას** იტალიის სერია – ა-ს აპრილის თვის საუკეთესო მოთამაშედ დასახელება.

თვით ვირტუს ბოლონიამ განვლილ თვეში 5-დან 4 მატჩის მოგებით რეგულარულ სეზონში გაიმარჯვა და პლეი-ოფში ტორტონას შეხვდება.

ამასობაში ნბა-ში კონფერენციების პლეი-ოფები მძაფრ ბრძოლაში გრძელდება: ნიუ იორკი – ინდიანა 121:117 (1:0), დენვერი – მინესოტა 80:106 (0:2).

## ◉ ორიოდე სიტყვით

### ჭადრაკი

**როდოსი (საბერძნეთი).** ევროპის ქალთა 24-ე ჩემპიონატი. **ბრინჯაო – ლელა ჯავახიშვილი** – 7,5 ქულა.

### ძიუდო

**ტაჯიკეთი.** დუშანბეს გრანდ სლემი. **ბრინჯაო – დიმიტრი გოჩილაიძე** (81 კგ).

### ფარიკაობა

**კორეა.** სეულის გრან პრი (ხმალი). **ვერცხლი – სანდრო ბაზაძე**. ფინალში მსოფლიო რეიტინგის ლიდერი ეგვიპტელ **ზიად ელ სისთან** დამარცხდა – 13:15, ხოლო მანამდე სამგზის ოლიმპიური მასპინძელი ჩემპიონი **გონგილ გუ** დაამარცხა.



### რაგბი

**ავჭალა არენა.** 20-წლამდელთა ტესტ-მატჩი. საქართველო – საფრანგეთი 17:26.

**ლადო კილასონია** (ბორჯღალოსანთა თავკაცი): **„ეს ჩვენთვის პირველი თამაში იყო და ექსპერიმენტულ ხასიათს ატარებდა. სამი სხვადასხვა შემადგენლობით ვითამაშეთ, რადგან მოთამაშეთა გამოცდა გვსურდა“.**

**ინგლისი.** გაზაფხულის სერია. ლესტერ თაიგერზი – შავი ლომი 21:13.

◉ გამოიცა

# წიგნი ჩვენი არსობისა

**სააღდგომოდ** შესანიშნავი სამაგიდო ნააზრევით გამდიდრდა წიგნიერი მკითხველის ბიბლიოთეკა – ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში შეკრებილ საზოგადოებას საჩუქრად გადაეცა ღირსეული სარბიელელის, ერთ დროს ამ პოპულარული გაზეთის თავკაცის **ილია ბაბუნაშვილის** საკმაოდ სქელტანიანი კრებული „ბაბუაწვერას თასი“ (რედაქტორი ლაშა გოდუაძე, მხატვარი კესანე ბაბუნაშვილი, გარეკანის დიზაინი ვაჟა სიმონიშვილი, დაკაბადონება მიხეილ ჯაში), რომელშიც ხელხვავიანი ავტორის შემოქმედების მხოლოდ ნაწილია შესული.

მართალია, წერილთა უმეტესობას კარგად იცნობს სპორტის ქომაგი, მაგრამ ჭეშმარიტად პროფესიონალი კოლეგის გემოვნებით აკინძული სტრიქონები მაინც ერთი ამოსუნთქვით იყლაპება, სტიმულს კი თვით ნობელის პრემიაზე წარდგენილი კალმოსნის გიო ახვლედიანის წინასიტყვაობა გვმატებს, რომელიც გვამცნობს:




**„სამწერლოგო ნიჭთან და დიდ შინაგან კულტურასთან ერთად ილოს ნაწერებს, სვეტებსა თუ სპორტულ ესეებს თვითმხილველის განუმეორებელი მზერაც დასდევს, რაც დღეს საკმაოდ იშვიათი რამაა.**

**ჩვენს ქვეყანაში ბევრი დამწერი სპორტული ჟურნალისტი ისედაც აღარ გვყავს და ეს წიგნი კი საუცხოოდ შეგვახსენებს, რომ ამ ხელოვნის და ამ ოსტატობის გადავარდნა მეტად აზიანებს რამდენიმე რამეს – პროფესიულად წერის კულტურას, ნაწერში არსებულ პიროვნულ კულტურას, შენახვის კულტურას და ვინ იცის, კიდევ რას აღარ...**

**...ამ წიგნში ასე მოხდენილად თავმოყრილი ქართული თუ საერთაშორისო ფეხბურთის სილუეტები და დაუვიწყარი საღამოები, დიდი მატჩები და დიდი ფეხბურთელები იმაზეც დაგვაფიქრებს, რომ დამწერის ოსტატობა ისეთივე მარადია, როგორც სპორტსმენისა“...**

დასტურ!

◉ მარადისობა

# შეტევის ერთგული

**საწუთროს კიდევ ერთი გენიოსი განერიდა – 86 წლისა გარდაიცვალა საფეხბურთო თეორემის: გავიტანთ ერთით მეტ გოლს, ვიდრე მეტოქეავტორი ლუის სესარ მენოტი, ვინც 1978 წელს სამშობლოშივე გამართულ მუნდიალზე არგენტინას პირველი ტიტული მოაგებინა კემპესის, პასარელას, ლუკეს, ბერტონისა და არდილესის ძალისხმევით.**

სხვათა შორის, მაშინ შემტევი ფეხბურთის აპოლოგეტმა მწვრთნელმა სანაკრებო განაცხადს მიღმა თვით დიეგო მარადონა დატოვა და ოპონენტები ბრძნული პროგნოზით დაამშვიდა – იგი ეპოქას მალევე შექმნისო, რაც დადასტურდა კიდევაც, თანაც როგორ – საილუსტრაციოდ მხოლოდ 1986 წელს მექსიკის სტადიონებზე ტრიუმფით მოხვეჭილი მსოფლიოს მეორე ჩემპიონობის და ნაპოლის არნახული აღზევების დასახელებაც კმარა.

როგორც ქართულ-სამხრეთამერიკულ ურთიერთობათა პოპულარიზატორი ნიკო პატარქალიშვილი აღნიშნავს, მენოტიმ ერთი თამაშის ნახვის შემდეგ განჭვრიტა ნოდარ ახალკაცის ფორმაციის თბილისის დინამოს დიდი საერთაშორისო წარმატებები, ხოლო მოგვიანებით უკვე დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთისთვისაც სცადა ნაბიჯის გადადგმა.

საუბარია 2003 წელს მის მიერ ჩვენი ეროვნული ნაკრების თავკაცად ვისენტე კაიეტანო როდრიგესის კანდიდატურისთვის გაწეულ რეკომენდაციაზე, მაგრამ არჩევანი ალენ ჟირესზე შეჩერდა.

დავძენთ, რომ დასახელებული პროექტი ბავშვთა ფეხბურთის განვითარებაში წვლილის შეტანასაც ითვალისწინებდა.

ისიც სათქმელია, რომ მენოტი საკუთარი ტაქტიკური კრედოს ერთგული ბარსელონაშიც დარჩა, თუმცა უშედეგოდ.



# რას ერჩიან ჩვენი ენათმეცნიერები „ზარეორს“?!

## რეპლიკა პასუხის იმედით

**მთელ** ქვეყანაში და, მომეტებულად, დასავლეთ საქართველოში, მეტყველებისას ხშირად იყენებენ, ჩვენი აზრით, ყველასთვის გასაგებ და, ამდენად, ყოვლად ლეგიტიმურ სიტყვას, „ზარეორს“. მაგალითად: „ის ურჩევნია ზარეორს“, „ზარეორმა აღიარა თავიანთი შეცდომა“ და ა.შ.

ჯერ კიდევ სტუდენტობისას დავინტერესდი – რომელი ფორმა იყო მართებული: „ზარეორი“ თუ – „ზარე ორი“. ბუნებრივია, ამის დასადგენად ჩავხედე „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ პირველსავე ტომს და ერთობ გამიკვირდა, რომ მასში ეს სიტყვა საერთოდ არ აღმოჩნდა!

მერე „ორთოგრაფიულ ლექსიკონს“ მივაშურე, მაგრამ ისევ ამაოდ!

თუმცა, რა აუცილებელი იყო ორთოგრაფიული, როცა ქეგლ-ში თავმოყრილია ყველა ქართული სიტყვა, რაგინდ კუთხური ანუ დიალექტურიც იყოს იგი!

თუ მეტისმეტ თავმოწონებაში არ ჩამომერთმევა, იმერლობის კვალობაზე, საკმაოდ გალანტური გახლავართ და არ მჩვევია უსაგნო ქილიკი; არც ამჟამად ვარ საამისოდ მომართული; მაგრამ, თქვე კაი ხალხნო (ენათმეცნიერების ინსტიტუტის კოლექტივს მივმართავ!), ამდენი რომ გიშრომიათ (ახალი გამოცემის სამივე ტომი უდავოდ, მთელი თავით მაღლა დგას, უწინდელებთან შედარებით!), ზარემღა, გექნათ სიკეთე (ნუ გეუკადრისებათ სხვისი ნააზრევის გათვალისწინება!) და ამოგეფხვრათ ეს აშკარა ხარვეზიც!

გარწმუნებთ, შეცდომაა ეს.

შეცდომა კი ვის არ მოსვლია! ჰაიჰარად როდია ნათქვამი, შეუმცდარი ქვეყნად მხოლოდ ღმერთიაო. მაგრამ, შეცდომაცაა და შეცდომაც. როცა შეცდომა დანაშაულს უტოლდება, საგანგაშოა.

მე-20-ე საუკუნეში აკადემიკოს აკაკი შანიძეზე დიდი ენათმეცნიერი ნამდვილად არ გვყოლია; მაგრამ მოხდა „სასწაული“: უკვე საუკუნეს მიღწეულმა ბატონმა აკაკიმ შავით თეთრზე დაწერა და პრესაშიც გამოაქვეყნა უდავოდ მცდარი თვალსაზრისი, რომ რუსული წინადადება – „Тбилисский государственный университет“ ქართულად ასე უნდა ითარგმნოსო: „თბილისის სახელმწიფოებრივი უნივერსიტეტი“. (?!)

ზევრი ვუტრიალე ამ „თვალსაზრისს“ და ვერანაირად ვერ აღვიქვი და ვერ გავაცნობიერე.

ბოლოს, გამინათდა გონება და წამოვიდა და წამოვიდა სიტყვათშემოკლებანი: „სახბანკი“, „სახკინო“, „სახუნტი“, „სახცირკი“...

გადავიწერე პირჯვარი და გამოვაქვეყნე მცირე რეპლიკა: „...ასეთ შემთხვევაში, როგორღა გავშიფროთ – „სახცირკი“?! – „სახელმწიფოებრივი ცირკი“?! რა გამოდის: როგორიც ცირკია, იმგვარია სახელმწიფოც?!



ზევრი ვათვალიერე პრესა, მაგრამ პასუხს ვერ ვეღირსე.

ეტყობა, ძნელი შეიქნა! ვნახოთ, ამჯერად ვეღირსები?

**გიზო ზარნაძე**

---

## საზოგადოება

# რეკორდული ემიგრაცია ჩვენი სამშობლოდან!

**2023 წელს** საქართველოს მოქალაქეთა უცხოეთში ემიგრაციამ რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია – 163,480 მოქალაქე ემიგრაციაში წავიდა, 91,896 იმიგრანტი კი ქვეყანაში დაბრუნდა, შესაბამისად, საქართველოს მიგრაციული სალდო მინუს 71,584 იყო. ეს საქართველოს მოსახლეობის თითქმის 2%-ია.

საქართველოს მოქალაქეთა ემიგრაციის ასეთი დიდი უარყოფითი სალდო არცერთი წლის განმავლობაში არ დაფიქსირებულა, შედარებისთვის, 2022 წელს ნეგატიური სალდო 46 ათასი იყო, 2021 წელს 41 ათასი მოქალაქე, 2020 წელი კი ერთადერთი წელი იყო, როდესაც საქართველოს დადებითი მიგრაციული სალდო ჰქონდა (პანდემიის გამო) და ქვეყანაში დაბრუნებულ საქართველოს მოქალაქეთა რიცხვმა ქვეყნიდან გასულთა რიცხვს 23 ათასით გადააჭარბა. თუმცა, მთლიანად ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოდან გრძელვადინ ემიგრაციაში 285 ათასი ადამიანი წავიდა.



# ქიზიყელ ლიტერატორთა საჩუქარი

### გამოვიდა ლიტერატურულ ალმანახ „ხორნაბუჯის“ 2024 წლის პირველი ნომერი

**ალმანახის** რედაქტორია **გიორგი ნატროშვილი**. გარეკანი გაფორმებულია **თემურ პოპიაშვილის** და **ვაჟა ჩერქეზიშვილის** ფოტოებით. ყდის მე-2 გვერდი **გურამ რჩეულიშვილის** 90-ე წლისთავისადმია მიძღვნილი და გვთავაზობს მის ლექსს – „დედა“. ყდის მე-3 გვერდზე იხილავთ მოკლე ინფორმაციას ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შესახებ, რომლის შესანიშნავი ფოტოებითაც არის გაფორმებული ალმანახის ამ ნომრის გარეკანი.




ალმანახი იხსნება **თემურ ჩალაბაშვილის** გახსენებით. ეს დიდებული პოეტი 2023 წლის 27 დეკემბერს 72 წლის ასაკში გარდაიცვალა. მის პოეზიას განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება, რადგან ლიტერატურის მოყვარული საზოგადოება თემურის შემოქმედებით ყოველთვის ინტერესდებოდა და კარგად იცნობს. ის იყო საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე. გამოცემული აქვს რამოდენიმე პოეტური კრებული. რუბრიკაში იხილავთ თემურიასდმი მიძღვნილ წერილებს და ლექსებს მისი გარდაცვალების შემდეგ. აქვე გთავაზობთ **თემურ ჩალაბაშვილის** შემოქმედების მცირე ნაწილს, რომელიც იხსნება თემურ ჩალაბაშვილის ხელნაწერი ლექსებით. ლექსი რამდენიმე წლის წინ ავტორმა უსახსოვრა ალმანახის რედაქტორს, ბატონ გიორგი ნატროშვილს.

შემდეგი რუბრიკაა იუბილე, რომელიც ეძღვნება დედოფლისწყაროელ ჟურნალისტის **ნაირა გორაშვილის** 80 წლისთავს. ქალბატონი ნაირა ათწლეულების განმავლობაში რედაქტორობდა ადგილობრივ გაზეთ „შირაქს“ (რომელიც 1937 წლიდან გამოიცემა), მათ შორის ავბედით 90-იან წლებში და ის ფაქტი, რომ გაზეთმა არსებობა არ შეწყვიტა, დიდწილად მისი თავგამოდების შედეგია.

რუბრიკაში „პოეზია“ მკითხველი გაეცნობა: **თამაზ წიკლაურის, ლაშა გაგილუას, ნინო ქინქლაძე-ჯიღიტაშვილის, მარი ჩაკვეტაძეს, თენგიზ პაპაშვილის, მანანა თარაშვილის, მაია დიაკონიძის, თინა გახელაძის, მამუკა ოჩიაურის, ნინო ფრუიძის, ზურაბ მამულაშვილის და ქეთევან გოდერძიშვილის** ლექსებს.

რუბრიკაში „პროზა“ შეგიძლიათ წაიკითხოთ: **გიგი ხორნაულის** და **ნინო ჭელიძის** მოთხრობები.

რუბრიკაში „ახალი სახელები“ იბეჭდება **გიორგი პაპუაშვილის** ნოველა და **ლალი მეხრიშვილის** ლექსები.

შემდეგ რუბრიკაში „გახსენება“ ვიხსენებთ შესანიშნავი პოეტების **თენგიზ მორჩიაულის** და **პაატა სულთანიშვილის** შემოქმედებას.

რუბრიკაში „პუბლიცისტიკა“ წაიკითხავთ **ქეთევან ჯერვალიძის** და **ჯემალ მეხრიშვილის** წერილებს.

რუბრიკაში „თარგმანი“ წარმოდგენილია ფრანგული პოეზია. **ჟან ბატისტ რასინის, ვიქტორ ჰიუგოს, ჟერარ დე ნერვალის, ანრი-ფრედერიკ ამიელის** და **ჟან ამლუშის** ლექსები თარგმნილია პოეტური დუეტისა – **ვაჟა ოთარაშვილის და ეკა კვანტალიანის მიერ.**

რუბრიკაში „ხსოვნა“ გაეცნობით **მარიკა პოპიაშვილის** წერილს „გულანთებული მამულიშვილი – **თენგიზ არჩვაძე**“, ასევე **ნანა ჭიჭინაძის** წერილებს: **„მედეა ამირანაშვილის** ბოლო ბენეფისი თბილისის ოპერა თეატრში“ და „გამოთხოვება **ვაჟა აზარაშვილთან**“.

# განცხადება საჯარო განხილვის შესახებ

**სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა - შპს „მეტროპოლ ტაბახმელას“ მიერ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში, სოფელ შინდისში, საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტი.**

**გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.**

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: **2024 წლის 24 მაისი, 12:00 საათი, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი, მთაწმინდის რაიონის გამგეობა - წავკისი, შინდისი, ტაბახმელას საუბნო განყოფილების შენობა (მის: ქ. თბილისი, ტაბახმელა, თბილისი-კოჯრის გზატკეცილი 25)**

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, გაუგზავნოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის **30 მაისის** ჩათვლით მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 29 აპრილი.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს დასკვნას.

---

# განცხადება საჯარო განხილვის შესახებ

**გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა – შპს „ქართულ-ამერიკული სამშენებლო საწარმო LTD GACC“-ის მიერ ქ. თბილისში, ასფალტის საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია**

**გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.**

დაგეგმილი საქმიანობის გზშ ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: **2024 წლის 20 ივნისი, 13:00 საათი, ქ. თბილისი, სამგორის რაიონის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა** (მის.: **მოსკოვის გამზირი N14)** საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის **5 ივლისი** ჩათვლით მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ და განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 26 აპრილი.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 51-ე დღისა და არაუგვიანეს 55-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს მარიამ ფარცვანიას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** მარიამ ფარცვანია (პ/ნ 19001105300), თბილისი, ვარკეთილი 3, 3ა მ/რ, კორპუსი 322

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

თბილისი, ვარკეთილი 3, 3ა მ/რ, კორპუსი 322 (საკადასტრო კოდი: 01.19.39.013.008.01.519)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 12046.94 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 13 მაისი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 24 მაისი, 14:00 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP98325424;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 983254

**6. მოვალე:** მარიამ ფარცვანია (პ/ნ 19001105300), თბილისი, ვარკეთილი 3, 3ა მ/რ, კორპ. 337, ბინა 11;
მთვარისა ივარდავა (პ/ნ 19001088859), ზუგდიდი, ს. რუხი;
ნათია წურწუმია (პ/ნ 19001007353), ზუგდიდი, ს. რუხი.

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

**8. აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP98325424; ლოტის ნომერი: 983254).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 24 მაისის 12:00 საათამდე.

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს რატი ლეჟავას და ნატალია დარჩიას თანასაკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** რატი ლეჟავა (პ/ნ 33001011123), თბილისი, სანზონა, ტიბაანის 49; ნატალია დარჩია (პ/ნ 33001053889), ოზურგეთი, ს. ჯუმათი

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

ოზურგეთი, ს. ჯუმათი (საკადასტრო კოდი: 26.08.03.105)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 56923.95 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 13 მაისი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 24 მაისი, 14:15 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP98326124;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 983261

**6. მოვალე:** რატი ლეჟავა (პ/ნ 33001011123), თბილისი, სანზონა, ტიბაანის 49;
ნატალია დარჩია (პ/ნ 33001053889), ოზურგეთი, ს. ჯუმათი.

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

**8. აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP98326124; ლოტის ნომერი: 983261).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 24 მაისის 12:00 საათამდე.

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ნათელა კანჭიაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნათელა კანჭიაშვილი (პ/ნ 36001041996), საგარეჯო, 300 არაგველის ქ. №10-12

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

საგარეჯო, 300 არაგველის ქ. №10-12 (საკადასტრო კოდი: 55.12.75.000.124)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 33648.71 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 13 მაისი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 24 მაისი, 14:00 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP98325824;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 983258

**6. მოვალე:** ნათელა კანჭიაშვილი (პ/ნ 36001041996), საგარეჯო, 300 არაგველის ქ. №10-12;
ივანე ბუთიაშვილი (პ/ნ 45001032659), საგარეჯო, 300 არაგველის ქ. №10-12.

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

**8. აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP98325824; ლოტის ნომერი: 983258).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 24 მაისის 12:00 საათამდე.

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ზახიდა ნასიბოვას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ზახიდა ნასიბოვა (პ/ნ 10001028027), ბოლნისი, დ. კაზრეთი, კორპუსი 97/3, სართული 9, ბინა 95

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

ბოლნისი, დ. კაზრეთი, კორპუსი 97/3, სართული 9, ბინა 95 (საკადასტრო კოდი: 80.14.64.037.01.095)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 41837.36 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 13 მაისი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 24 მაისი, 14:30 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP98326624;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 983266

**6. მოვალე:** ზახიდა ნასიბოვა (პ/ნ 10001028027), ბოლნისი, დ. კაზრეთი, კორპ. 97/3, სართ. 9, ბინა 95;
ელსავარ ზეინალოვი (პ/ნ 10001013870), ბოლნისი, ს. ჯავშანიანი, პირველი ქუჩა №2;
სონა მამედოვა (პ/ნ 10001028027), ბოლნისი, დ. კაზრეთი.

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

**8. აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP98326624; ლოტის ნომერი: 983266).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 24 მაისის 12:00 საათამდე.

# განცხადება
## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ლევან ჯაფარიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ლევან ჯაფარიძე (პ/ნ 13001027186), გურჯაანი, ს. ჭანდარი, პირველი ქუჩა №56

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

გურჯაანი, ს. ჭანდარი (საკადასტრო კოდი: 51.11.558.222 **https://naprweb.reestri.gov.ge/ - /search**)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 38323.16 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 13 მაისი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 24 მაისი, 14:00 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP98327224;

აუქციონის ნომერი: 71271

ლოტის ნომერი: 983272

**6. მოვალე:** ლევან ჯაფარიძე (პ/ნ 13001027186), გურჯაანი, ს. ჭანდარი, პირველი ქუჩა №56;

დავით ჯაფარიძე (პ/ნ 13001034044), გურჯაანი, ს. ჭანდარი, პირველი ქუჩა №56.

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

**8. აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP98327224; ლოტის ნომერი: 983272).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 24 მაისის 12:00 საათამდე.

# განცხადება
## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ სს „ლაზიკა კაპიტალის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს თეკლე რატიას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** თეკლე რატია (პ/ნ 19001054927), ზუგდიდი, ს. ინგირი, თამარ მეფის ქუჩა №52

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

ზუგდიდი, ს. ინგირი, თამარ მეფის ქუჩა №52 (საკადასტრო კოდი: 43.18.445.427 **https://naprweb.reestri.gov.ge/ - /search**)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 21633.87 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 13 მაისი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 24 მაისი, 14:00 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP98327324;

აუქციონის ნომერი: 71271

ლოტის ნომერი: 983273

**6. მოვალე:** თეკლე რატია (პ/ნ 19001054927), ზუგდიდი, ს. ინგირი, თამარ მეფის ქუჩა №52;

ილია ჭკადუა (პ/ნ 51001027677), ზუგდიდი, ს. ინგირი.

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

**8. აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP98327324; ლოტის ნომერი: 983273).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 24 მაისის 12:00 საათამდე.

# სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის
# განცხადება

### ქვეყნდება საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2024 წლის 5 აპრილის №1-1/137 ბრძანების შესაბამისად

საქართველო 2025 წლის ევროპის ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის მასპინძელი ქვეყანაა. ფესტივალის მასპინძლობას ჩვენი ქვეყნისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან აღნიშნული ხელს შეუწყობს საერთაშორისო არენაზე საქართველოს წარმოჩენას. ამასთან, ფესტივალის ფარგლებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები დაეხმარება ქვეყანაში ზამთრის სპორტის და ტურიზმის განვითარება-პოპულარიზაციას. ასევე, საშუალებას მისცემს მომავალში საქართველომ უმასპინძლოს სხვადასხვა საერთაშორისო დონის ღონისძიებებს.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის რიგგარეშე სხდომამ, 2019 წლის 30 ივლისს, მიიღო გადაწყვეტილება 2025 წლის ზამთრის მე-17 ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის მასპინძლობის უფლების მისაღებად წარედგინა ოფიციალური განაცხადი ევროპის ოლიმპიურ კომიტეტში (EOC). 2025 წლის ევროპის ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ფარგლებში, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 1140 განკარგულების საფუძველზე, ფონდს დაევალა დაბა ბაკურიანში ბიატლონისა და თხილამურებით რბოლის (**Cross Country**) მოედნის მოწყობა, რომელიც წარმოადგენს ზამთრის სპორტისა და ტურიზმის განვითარება/პოპულარიზაციის უმნიშვნელოვანეს პროექტს. მიმდინარე ეტაპზე ფონდი ახორციელებს ბიატლონის ტერიტორიაზე არსებული მონაკვეთების განსახლების პროგრამას. მესაკუთრეებს გაეგზავნა ოფიციალური შეთავაზებები პროექტისათვის საჭირო მიწის ნაკვეთის ნებაყოფლობით გასხვისების თაობაზე, ასევე ეცნობა პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ზემოქმედების ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება ლ. სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ დადგენილი მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულების შესაბამისად.

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ უძრავი ქონების გამოსყიდვის შესახებ შეთანხმება მიღწეულ იქნა მესაკუთრეების უმეტეს ნაწილთან, ხოლო შეთანხმება მიუღწეველი ქონების საკითხი რეგულირდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. აღნიშნული კანონის დანაწესიდან გამომდინარე აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ჩამორთმევის საკითხი განხილულ იქნა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების მიზნით საკითხის განმხილველი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 25 მარტის №1-1/159 ბრძანებით შექმნილი ექსპროპრიაციის საკითხების განმხილველ კომისიის მიერ. 2024 წლის 5 აპრილს გამოიცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 1-1/137 ბრძანება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საქართველოს სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ (გამოქვეყნებულია საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე) რომლითაც ექსპროპრიაციის უფლების მისანიჭებელ სუბიექტად, დადგინდა სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად **„ყველა მესაკუთრეს,** რომელთა ქონება ექვემდებარება ექსპროპრიაციას, მინისტრის შესაბამისი ბრძანების გამოქვეყნების შემდეგ ექსპროპრიაციის უფლების მოპოვებით დაინტერესებული პირი აწვდის ინფორმაციას, რომელიც ქვეყნდება ცენტრალურ და ადგილობრივ პრესაში. ინფორმაცია უნდა შეიცავდეს პროექტისა და მისი განხორციელების ფარგლების, აგრეთვე ტერიტორიისა და, სავარაუდოდ, საექსპროპრიაციო ქონების მოკლე აღწერას.“ სსიპ საქართველოს მუნიციპალური ფონდი, როგორც ექსპროპრიაციის უფლების მოპოვებით დაინტერესებული პირი, ვალდებულია ბრძანების გამოქვეყნების შემდგომ, ცენტრალურ და ადგილობრივ პრესაში გამოქვეყნების გზით მესაკუთრეს მიაწოდოს ინფორმაცია, რომელიც „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“. საქართველოს კანონითა და 2024 წლის 5 აპრილს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 1-1/137 ბრძანებათ არის განსაზღვრული, კერძოდ ( ამონარიდი 1-1/137 ბრძანებიდან),

**„2025 წლის ევროპის ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ფარგლებში დაბა ბაკურიანში ბიატლონისა და თხილამურებით რბოლის (Cross Country) მოედნის მოწყობის პროექტი ჩაითვალოს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების მქონე პროექტად და სსიპ- საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს მიენიჭოს ექსპროპრიაციის უფლება პროექტის არეალში მოქცეულ ჯაბა მამულაიშვილის (პ/ნ 61003000119) საკუთრებაში არსებულ, ბორჯომის მუნიციპალიტეტში, დაბა ბაკურიანში, დავით აღმაშენებლის ქუჩის მიმდებარედ „ბიატლონის ტრასასთან“ მდებარე, 1106 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო (სათიბი) დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს.კ 64.30.04.973) ნაწილზე – 243 კვ.მ მიწის ნაკვეთზე“.**

პროექტისათვის საჭირო მიწის ნაკვეთებზე ექსპროპრიაციის უფლების მოსაპოვებლად სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი უახლოეს დროში მიმართავს რაიონულ(საქალაქო)სასამართლოს.

## მესტიაში, მდინარე ნაკრაში გადავარდნილი სამივე მოზარდის ცხედარი უკვე ნაპოვნია

ადგილობრივებმა და მაშველებმა 14 წლის გიორგი ვიბლიანის ცხედარი ნაკრაში პატარა ჰესის მიმდებარე ტერიტორიაზე იპოვეს.

18 წლის საბა გვარმიანის ცხედარიც გუშინ რამდენიმე საათის შემდეგ იპოვეს.

შეგახსენებთ, 2 დღის წინ, მოზარდების ბიძამ ავტომობილში მჯდომი მე-12 კლასელის ეკა ვიბლიანის ცხედარი იპოვა.

სამივე არასრულწლოვანი, 2 მაისს, ავტომობილით, სოფელ ჭუბერიდან სახლში სოფელ ნაკრაში ბრუნდებოდა, რა დროსაც ავტომობილი, უამინდობის გამო, მოცურდა და მდინარე ნაკრაში გადავარდა.

ძებნა-შველის ოპერაცია 6 დღე მიმდინარეობდა.

## სანთელი

### უკვდავება ნათელი სულისა
### ლალი გუჯაბიძე-ქავთარაძე



ორმოცი ტკივილიანი დღე გავიდა, ჩვენო საყვარელო ქალბატონო!.. ძალიან რთულია სიტყვების მოძებნა იმ მწუხარების გადმოსაცემად, რაც შენ მოგვაყენე ამ ქვეყნიდან მოულოდნელი წასვლით, ძვირფასო ლალი.

შენ იყავი ღირსეული მეუღლე, დედა, ბებია, დიდი ოჯახის დიდი დიასახლისი. უანგარო მეგობარი, ადამიანების მოყვარული პიროვნება.

როდესაც თბილისის ჯანდაცვის სამმართველოს უფროსად გნიშნავდნენ, არ თანხმდებოდი, ჩემს პოლიკლინიკაში მირჩევნიაო – ასეთი მოკრძალებული ექიმი იყავი და ამიტომაც უყვარდი ყველას.

ლალი იროდიონის ასული გუჯაბიძე იყო ნათელი სულის, კეთილშობილი ადამიანი.

ნუგეშად ის გვრჩება, რომ წმინდა განგება მის სულს უეჭველად მიუჩენს ღირსეულ ადგილს ზეციურ სასუფეველში.

**თენგიზ ქავთარაძე**

---

თენგიზ, ქეთევან ქავთარაძეები, ზაურ, ნელი ფხალაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის, ღირსეული მამულიშვილის

### შუქრი შოთას ძე დევნოზაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებს.



სპარტაკ ქობულია, ოთარ ტურაბელიძე და მამუკა ვაშაკიძე ოჯახებით სამძიმარს უცხადებენ უახლოეს მეგობარს ბუძა ცხოვრებაშვილს ძმისწულის

### ფიქრია ცხოვრებაშვილის

შორეულ ავსტრალიაში ტერაქტის დროს ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

## ნუცა ბუზალაძე ფინალს უმიზნებს



**ბრიტანული** მაუწყებლის ინფორმაციით, უნარები, რომლებიც ნუცა ბუზალაძეს გამოარჩევს, საკმარისია იმისთვის, რომ მან ფინალში იმღეროს.

„კონკურსანტს შარშანდელი American Idol-იდან, სადაც კაილი მინოუგთან ერთად წარდგა – ნუცას სცენაზე წარდგენის უდიდესი ნიჭი და შაკირას დონის ქორეოგრაფია აქვს“, – წერს BBC.

ნუცა ბუზალაძე საქართველოს ევროვიზიაზე სიმღერით Firefighter ხვალ 9 მაისს წარადგენს.

ევროვიზია 2024 შვედეთის ქალაქ მალმეში გუშინ, 7 მაისს საღამოს 11 საათზე დაიწყო.



## ქართველმა მილიარდერმა ინგლისური საფეხბურთო კლუბი იყიდა

**ქართველმა** მილიარდერმა, მიხეილ ლომთაძემ ინგლისური პროფესიული კლუბის **Wycombe Wanderers**-ს აქციების 90% იყიდა. ამის შესახებ კლუბის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაშია ნათქვამი.

აშშ **Feliciana EFL**-მა საკუთარ მფლობელობაში არსებული აქციების 90% მიხეილ ლომთაძის მფლობელობაში მყოფ **Blue Ocean Partners II Limited**-ს მიჰყიდა. შედეგად, ლომთაძე გახდა კლუბის დირექტორთა საბჭოს წევრიც. (დირექტორთა საბჭოს ორ ახალ წევრთან – ედუარდ ვიშნიაკოვთან და დანიელ რაისთან ერთად).

ქართველმა მილიარდერმა, კლუბის და გულშემატკივრებისთვის მიწერილ გზავნილში თქვა, რომ ის მსუბუქად არ მოეკიდება აღებულ პასუხისმგებლობას გულშემატკივრების, პერსონალისა და ფეხბურთელების წინაშე.

„ჩვენი მიზანია მივაღწიოთ გრძელვადიან წარმატებებს როგორც მოედანზე, ისე მის ფარგლებს გარეთ ფინანსურად მდგრადი კლუბის აშენებით“, – განაცხადა ლომთაძემ.

1887 წელს დაარსებული **Wycombe Wanderers** ბუკინგემშირში სამხრეთ-აღმოსავლეთ ინგლისში მდებარეობს.

მიხეილ ლომთაძე არის **Kaspi.kz**-ის სამი ძირითადი აქციონერიდან ერთ-ერთი. 2024 წლის 1 აპრილის მდგომარეობით იგი ფლობდა ყაზახური ფინტექს კომპანიის საერთო აქციების 22,6%-ს. 2022 წელს მან მეშვიდე ადგილი დაიკავა ყაზახეთის 50 ყველაზე გავლენიანი ბიზნესმენის რეიტინგში.

ლომთაძე ბიძინა ივანიშვილის შემდეგ რიგით მეორე ქართველი მილიარდერია, რომელიც **forbes**-ის შეფასებით ივანიშვილზე მდიდარია, ხოლო **Bloomberg**-ის ცნობით, ივანიშვილზე 700 მლნ-ით ნაკლები ქონება აქვს.

## „თეგეტა“ ონტოფოს ასწლოვან ბიბლიოთეკას ეხმარება!

**„თეგეტა ჰოლდინგი“** სოფელ ონტოფოს საუკუნოვანი ბიბლიოთეკის ტექნოლოგიურ აღჭურვაში ჩაერთო. კომპანიამ, განათლების მხარდაჭერის მიზნით, ისტორიულ სამკითხველოს მულტიფუნქციური სმარტ ბორდი გადასცა და ბიბლიოთეკა საჭირო წიგნებით შეავსო.

აბაშის მუნიციპალიტეტ სოფელ ონტოფოში პირველი ბიბლიოთეკა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მხარდაჭერითა და ადგილობრივების ძალისხმევით 1912 წელს დაარსდა. 111 წლის შემდეგ ონტოფოს ბიბლიოთეკის სამზრუნველოს წევრები საუკუნოვანი იდეის დაცვის გარშემო გაერთიანდნენ და ტრადიციული სივრცისთვის ახალი მიზნები დასახეს.

ონტოფოს ბიბლიოთეკის განახლების მთავარი მიზანი ახალგაზრდებისთვის ინფორმაციაზე წვდომის გაუმჯობესება და მათი ცოდნის გამრავალფეროვნებაა. ონტოფოს ბიბლიოთეკის სამზრუნველოს ინიციატივით, ბიბლიოთეკა საზოგადოებრივ ცენტრად უნდა ჩამოყალიბდეს, სადაც განახლებულ სამკითხველოსა და საბავშვო სივრცეში ტექნოლოგიები ხელმისაწვდომი იქნება. სწორედ ტექნოლოგიური აღჭურვის პროცესში ჩაერთო „თეგეტა ჰოლდინგი“.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (ფიცის კლასი)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე
თემურ ქორიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,

ოპერატორი
ზორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 10 მაისს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6797; ევრო - 2.8777;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3636;
100 რუბლი - 2.9252; თურქული ლირა - 0.0828;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5759;
1000 სომხური დრამი - 6.9020

**ამინდი 8 მაისისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +7, | დღე +18 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +2, | დღე +14 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +7, | დღე +22 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +4, | დღე +19 |
| თბილისი: | ღამე | +9, | დღე +21 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge